№33 204

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 194 (996) | სამშაბათი, 1 ნოემბერი, 1994 წელი. | ფასი 100.000 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქი მედიკოსები

29 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დელეგაცია. საუბარი შეეხო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობათა შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა მოახსენა სტუმრებს საქართველოსათვის გაწეული დახმარებისათვის და მიულოცა მათ თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული.

შეხვედრა ბუტროს-ბუტროს გალის წარმომადგენელთან

30 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს-ბუტროს გალის პირად წარმომადგენელს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ედუარდ ბრუნერს. საუბარი შეეხო გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს-ბუტროს გალის ვიზიტს საქართველოში, რომელიც ორ დღეს გასტანს.

გაეროს გენერალური მდივნის ჩამოსვლა თბილისში კიდევ ერთხელ ადასტურებს მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესს ამ რეგიონისადმი, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს-ბუტროს გალის ვიზიტი ბევრ ახალ, დადებით ასპექტს შეიტანს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს მისიის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში თეოდორ სტარჩევიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხეილ უკლება, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე.

თურქი ხალხის დღესასწაული

29 ოქტომბერს თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში თევფიქ ოქიაიზმა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სარკეებიან დარბაზში დარბაზობა გამართა თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების 71 წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობაზე იყვნენ სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიურ მისიათა მეთაურები და თანამშრომლები.

აჭარა:

ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ავანგარდში

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე აჭარამ დაამყარა ყველა რეკორდი მისდამი პოლიტიკურ მოღვაწეთა, მწერალთა, კულტურის მუშაკთა და, რა თქმა უნდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინტერესის ნაწილში. ერთი სიტყვით, საქართველოს ამ ველესი და ზღაპრულად ლამაზი მხარისა და მისი ახლანდელი ხელმძღვანელობისადმი სხვადასხვა ეტები და გამონათქვამები სარისადაა. ამასთან, ეს გამონათქვამები, როგორც წესი, დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. ჩვენს ლიტიზებულ ხანაში ადამიანთა ულებს მთლიანად დაეუფლა სხნება და სიძულვილი. ჩვენ დავივიწყეთ, რომ განრისხებულნი ვერა და ვერ დაუახლოვდებიან ჭეშმარიტებას. პირიქით, სულ უფრო შორდებიან მას. არადა, როგორ გვჭირდება ახლა ეს ჭეშმარიტება, რათა, ბოლო მოვუღოთ ქმურობას და შევუდგეთ აღმშენებლობას — მოვხნათ მიწა, გავაშენოთ ვენახები, გამოვცეთ წიგნი, შევქმნათ მუსიკა, მოვახდინოთ მეცნიერული აღმოჩენა, ავაშენოთ სახლი, გავიყვანოთ გზა, დავიხადოთ ქორწილი, გავიხაროთ ახალშობილის პირველი ტიტილით.

ახლოებით ასე გამოიყურებოდა საქართველოს მეცნიერებათა დემიის პრეზიდიუმის წევრთა ლე საუბარი 28 ოქტომბერს თმფრინავში. რომელმაც ისინი ყვანა ბათუმში, სადაც დანიშნული იყო ქართული მეცნიერების ვარი შტაბის პრეზიდიუმის გალელი სესია. აჭარაში სხდომის ყობის გადაწყვეტილება შემვევით როდი იყო მიღებული. ემიასა და მის სამეცნიერო ესებულებებში დაგროვდა ბე საკითხი, რომლებიც აჭარასაც ბა და მათი განხილვა ადგილზე ლებით უფრო შედეგიანი იქოდა, მით უმეტეს, რომ ავტოური რესპუბლიკის ხელმძღლობა დაეთანხმა ამას და თა სამსახურიც შესთავაზა. თუმის აეროპორტში სტუმ დახვდა აჭარის უზენაესი სა თავმჯდომარე ასლან აბაში უნდა ითქვას, რომ ჩვენი მერები შესაშური ოპერატიუით შეუდგნენ მუშაობას. ქოთის დასასვენებელ სახლ რიაში" ჩასვლიდან ზუსტად საათის შემდეგ კონფერენცბაზში რესპუბლიკის მეცნიეთა აკადემიის პრეზიდენტმა, მიკოსმა ალბერტ თავხელიძემ აკადემიის პრეზიდიუმის ლელი სხდომა, რომელზეც ნეს ბათუმის ნიკო ბერძელის სახელობის ისტორიისა თნოგრაფიის ინსტიტუტის დიტორის, საქართველოს მეცნიეთა აკადემიის წევრ-კორესპოტის დავით ხახუტაიშვილისა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ექტორის, მეცნიერებათა დორის ივანე პაპუნიძის მოხსები. ამ მოხსენებათა განხილვამ ელ კიდევ ცხადყო, რომ უკომისობა, ამ სიტყვის ნამდ გაგებით, დამახასიათებელია ედ მეცნიერთათვის და ეს ად გამოავლინეს სხდომის ილეებმა, რომელთა შორის აბაშიძეც იყო. მეცნიერებბეს საკითხები და ცხარედ თეს ცალკეული ასპექტების ხებ, რომლებიც ეხება აჭაისტორიის შექმნას, ჩერნობიატომურ ელექტროსადგურში დარი ავარიის შედეგების ლიაციას, ბათუმის ბოტანიკური ფინანსური მდგომარეობის ობესებას, ბათუმში, სამეც ცენტრის გახსნას, ახლა ეთის ტერიტორიაზე მცხოვ ჩვენს თანამემამულეთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლას... ამ საკითხებზე თავისი აზრი გამოთქვა ასლან აბაშიძემაც. მან, კერძოდ, უარყო თავისი ოპონენტების მტკიცება იმის შესახებ, რომ აჭარის ისტორიის დაწერის სურვილი რაღაც სეპარატიზმის გამოვლინებად ჩაითვალოს. თუ არ იქნება რეგიონების ისტორია, არ იქნება მთელი ქვეყნის ისტორიაც, აღნიშნა მან, და მეცნიერები დაეთანხმნენ მას. სხვათა შორის, გადაწყდა, რომ აჭარის ისტორიის შექმნაში ჩაებან ჩვენი ისტორიკოსები მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად. სხდომაზე წაიკითხეს აკადემიკოს ევგენი ხარაძის წერილი ასლან აბაშიძისადმი. წერილიდან ცნობილი გახდა, რომ სულ ახლახან აჭარის ხელმძღვანელი გამოეხმაურა ქართველ ასტრონომთა თხოვნას და გამოუყო მათ საჭირო თანხები ბრაზილიაში გასამგზავრებლად. სხვათა შორის, მოგზაურობა ადვილი როდი იყო, საჭირო გახდა დანიშნულების ადგილამდე ჩაეტანათ საკმაოდ დიდი მოწყობილობა, რაც ასტრონომიულ დაკვირვებათა მოსაწყობად არის საჭირო. აკადემიკოსი მადლობას მოახსენებდა ასლან აბაშიძეს გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისათვის.

საღამოს მეცნიერები მიიწვიეს ბათუმის საოპერო თეატრში, რომლის სცენაზეც კოლექტივმა წარმოადგინა „აბესალომ და ეთერი". რაოდენ დიდი უნდა იყოს ადამიანის ერთგულება ხელოვნებისადმი და რამდენი ენერგია უნდა დახარჯულიყო, რათა ესოდენ მოკლე ვადაში დადგმულიყო, ფაქტობრივად ცარიელ ადგილას, და უზრუნველეყოთ იგი საჭირო რეკვიზიტით! მაგრამ ბათუმში ეს შესაძლებელი გახდა, რაც, ბუნებრივია, აისახა კიდეც სტუმართა შესაბამის შეფასებაში, რომელთა სახელით მასპინძლებს გულითადი მადლობა მოახსენა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. სხვათა შორის, ბათუმელი მაყურებელი დიდი გულისყურით ადევნებს თვალს თეატრის კოლექტივის ცხოვრებას და ყოველნაირად მხარს უჭერს მას. ეს აშკარად იგრძნობოდა თვით სპექტაკლის დროსაც.

29 ოქტომბერს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. იგი მონაწილეობდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომის მუშაობაში. მას აგრეთვე ესწრებოდნენ აჭარის მინისტრთა საბჭოს წევრები, სხვადასხვა უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება აჭარის სამეცნიერო ცენტრის გახსნის შესახებ, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობას.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ფაღავამ აღნიშნა, რომ რეგიონის მოსახლეობა მთლიანად მოკლებულია საქართველოს ტელევიზიის გადაცემების ნახვის შესაძლებლობას, შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი ივსება თურქული ტელევიზიის გადაცემებით.

სხდომაზე გამოსულმა ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და აჭარის ხელმძღვანელობის ინიციატივას და აღნიშნა, რომ გამსვლელი სესიების მოწყობა ფართოდ უნდა დაინერგოს პრაქტიკაში, რადგან ისინი უდავოდ ხელს შეუწყობენ ქვეყნის რეგიონების პრობლემათა გადაჭრას. მან განაცხადა, რომ საქართველოს დაუდგა დიდი რეფორმე-

(დასასრული მე-4 გვ.).

სურათებზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

სერგო ედიშერაშვილის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ბუტროს-ბუტროს გალი!

31 ოქტომბერს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბუტროს-ბუტროს გალი.

თბილისის აეროპორტში თვითმფრინავის კიბესთან საპატიო სტუმარს დახვდნენ და გულთბილად მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, პარლამენტის წევრი ჯაბა იოსელიანი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. დამხვდურთა შორის იყვნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პეტრე ჩხეიძე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი რესპუბლიკაში თეოდორ სტარჩევიჩი, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა თანამშრომლები.

იმავე დღეს გაიმართა შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესთან პირისპირ და რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან გაფართოებული შემადგენლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელობასთან საქართველოში, პრესის წარმომადგენლებთან.

„ადამიანები დღეს მხარს უჭერენ სტაბილურობის, ნორმალური ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებას, თუნდაც სრულიად უმნიშვნელოს"

— **გასულ** კვირას ერთ-ერთ გამოსვლაში თქვენ განაცხადეთ: „დღეს საქართველოს უმთავრესი, ყველაზე მტკივნეული პრობლემაა აფხაზეთი, სამაჩაბლო, მჭერა, გადავლახავთ მას. მაგრამ ყველაზე მწვავე მაინც ეკონომიკური პრობლემებია. ჩვენ ძნელად ასაღებ სიმაღლეებს შევუდექით". ბოლო მოვლენებს თუ გადავხედავთ, ამ მხრივ უკვე გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები. ამ ფონზე მართლაც არანორმალურად ჩანს ყოველკვირეულად ქცეული სატრასტო კომპანიებისა და კერძო ბანკების გაკოტრების შემთხვევები. ყველაფერი ეს, საეჭვოდ ერთდროულად ხდება, რასაც ერთვის გაუთავებელი ჭორები იმის თაობაზე, რომ ამ პროცესში მთავრობის ხელი ურევია. ამას, ალბათ, მაკონტროლებელი ორგანოების უკონტროლობაც უწყობდა ხელს. როგორ ფიქრობთ, იყო ეს პროცესი მართვადი, თუ, უბრალოდ, დამთხვევა მოხდა? — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვაზე თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** განაცხადა:

— რამდენიმე სიტყვით შევეხები ჩვენი ცხოვრების ეკონომიკურ ასპექტებს. კარგი იქნება, თუ ტრადიციად ვაქცევთ და მომავალშიც ეკონომიკა, ფინანსები, სახალხო მეურნეობის ცალკეული საკვანძო საკითხები ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება და საუბრებსაც ამით დავიწყებთ.

ოქტომბრის ბოლოს ეკონომიკურ ვითარებას განსაზღვრავდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. მათ შორის, საქართველოს პარლამენტის მიერ მეოთხე კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება, რომელსაც ჩვენ უდეფიციტო დავარქვით, რა თქმა უნდა, პირობითად. მაგრამ, მაინც ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან პარლამენტმა დაამტკიცა იგი.

მსოფლიოს ბანკის მისიამ მოამზადა საქართველოსათვის რეაბილიტაციის სესხის გამოყოფის სათანადო დოკუმენტაცია. ველოდებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას, რომელიც ჩამოდის 1995 წლისათვის სისტემური ცვლილებებისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის ღონისძიებათა შესათანხმებლად და დონორი ქვეყნების შეხვედრის მოსამზადებლად. ლაპარაკია პარიზის შეხვედრაზე, რომელიც 21 ნოემბერს არის დაგეგმილი საქართველოს დელეგაციის მონაწილეობით. ამ შეხვედრამ ბევრი რამ უნდა მოგვცეს სწორედ სტაბილიზაციის ფონდების, სხვა დახმარებებისა თუ კრედიტების გამოყოფის თვალსაზრისით.

არის ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენაც, რომლებიც ციფრებით, ფაქტებითა და ტენდენციებით გამოიხატა. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ მესამე კვარტალში საგრძნობლად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები, რამაც უკვე 10 ტრილიონ 500 მილიარდი კუპონი შეადგინა, ანუ 280 მილიარდი კუპონით გადააჭარბა იმ სავარაუდო შემოსავლებს, გეგმებს, რასაც ჩვენ ვისახავდით და, რაც 5,5 ტრილიონით მეტია, ვიდრე ექვსი თვის განმავლობაში შემოვიდა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ქვეყნის ხსნა და გადარჩენა, მაგრამ მოწმობს, რომ ბიუჯეტს თანდათან გამოუჩნდა მუდმივი შემოსავლების წყარო. ამ ბოლო პერიოდში შექმნილი სისტემები, მათ შორის საგადასახადო ინსპექცია და სხვა, ავად თუ კარგად, თავის საქმეს ასრულებენ. მესამე კვარტალში გაიზარდა (ესეც ძალიან მნიშვნელოვანი და გარკვეულად საერთოდ ეკონომიკის გამოცოცხლების ერთგვარ ტენდენციას სახავს) დამატებითი ღირებულებისა და აქციზის შემოსავალი: დამატებითი ღირებულებისა — ორჯერ, აქციზისა — სამჯერ, მოგების გადასახადი — სამჯერ და ა. შ. ეს არის შედარებით ჯანსაღი მოვლენების ამსახველი ციფრები.

სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლის ამოღების თვალსაზრისით კვლავაც სერიოზული ნაკლოვანებებია საგადასახადო სფეროში. მაგალითად, არაფრით არ შეიძლება იმის გამართლება, რომ განვლილი კვირის დასაწყისში პურის რეალიზაციიდან ბიუჯეტში ამოღებული იყო ფიქსირებული გადასახადის მხოლოდ მეოთხედი. ეს არის უთავბოლობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი. უნდა განვაცხადო, რომ ამას მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

გაზის რეალიზაციიდან ბიუჯეტის სასარგებლო ამოსაღები იყო 7,5 ტრილიონ კუპონზე მეტი. ძალიან დიდია თბილისელების გაზისა და ელექტროენერგიის მოხმარების დავალიანება. ახლა ციფრებს არ დავასახელებ, მაგრამ მომავალში მათზე გვექნება საუბარი.

კიდევ ერთი. არცთუ ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ანგარიშგასაწევი მოვლენა, რომელიც მოწმობს, რომ კურსი რეფორმისაკენ ასე თუ ისე სწორია — მხედველობაში მაქვს კუპონის კურსის ერთგვარი განმტკიცება. არ ვამბობ, რომ ახლა კუპონი სამაგალითო სიმყარის ვალუტაა. ამისაგან ჩვენ ძალიან შორსა ვართ. მაგრამ ერთგვარ ტენდენციაზე მაინც შეიძლება ლაპარაკი. კუპონი საჭირო გახდა, მას უკვე ვეძებთ. თუ ეს ტენდენციები განმტკიცდება, ალბათ, შეიქმნება ხელფასების მომატების საფუძველი. ხელფასსაც, სტიპენდიასაც, პენსიასაც ფასი ექნება. კუპონის კურსმა, მაგალითად, დოლარის მიმართ 29 ოქტომბრისათვის 2 მილიონ 30 ათასი შეადგინა. თავის თავად, ეს კატასტროფული შეფარდებაა, მაგრამ, 21 ოქტომბერთან შეფარდებით (ერთი კვირის წინათ 2 მილიონ 50 ათასი იყო). გარკვეულად, ეს სხვაობა შემცირდა, ხოლო რუბლის მიმართ, სიმართლე გითხრათ, ჩემს პროგნოზებს გადააჭარბა: 1 რუბლი 600 კუპონის დონეზე დაფიქსირდა. ერთი კვირის წინათ იყო 690. ეს სერიოზული პროგრესი და სერიოზული ძვრაა. მხედველობაშია მისაღები ის, რომ თავად რუბლის დევალვაციაც მოხდა. მაგრამ აქ მაინც აისახება შინაგანი პროცესები. შავ ბაზარზეც დაახლოებით ასეთივე ტენდენცია და შეფარდებებია. სამწუხაროდ, კუპონის კურსის გამყარებას ზოგჯერ სავაჭრო დაწესებულებაში არ მოჰყვა კუპონებში ფასების ადეკვატური შემცირება. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მონაცემებით, მაშინ, როცა შავ ბაზარზე კუპონის თანაფარდობა იყო 1:700-ზე, სახელმწიფო მაღაზიებში საქონელზე თანაფარდობა შენარჩუნებულია 1:1000-1500-ზე. აი, რატომ უნდა დაჩქარდეს სახელმწიფო მაღაზიების პრივატიზაცია. მაშინ იმოქმედებს ის კანონები, რომლებიც ჩვეულებრივად მოქმედებენ საზოგადოებაში. აქ კიდევ ის ძველი ადმინისტრაციული ზეგავლენა იგრძნობა: ზემოდან უთხრეს და დატოვეს ის ფასები, რომლებიც ხელსაყრელია ამ მაღაზიების ან ამა თუ იმ სტრუქტურებისათვის.

ედუარდ შევარდნაძის 31 ოქტომბრის რადიოინტერვიუ

წინა კვირასთან შედარებით ცოტათი გაუმჯობესდა ზამთრის მარაგის შეზიდვის მდგომარეობა მთიან რაიონებში. ამას ხაზგასმით აღვნიშნავ მხოლოდ იმიტომ, რომ მინდა ყველა ორგანიზაციის, სტრუქტურის ყურადღება მივაპყრო: დრო ძალიან ცოტა დარჩა, რათა მთის რაიონებში სათანადო მარაგი შეიქმნას.

ოდნავ მოგვარდა პენსიების, ხელფასების, სხვადასხვა დახმარებების, ლტოლვილთათვის განკუთვნილი ფულადი თუ ნატურალური დახმარების გაცემა. პენსია რომ თავისთავად საკმარისი არ არის, ეს სხვა საკითხია. ახლა, ალბათ, საჭიროა ფიქრი იმაზე, რომ პენსიამ მინიმალურად მაინც უზრუნველყოს მოქალაქეთა საარსებო მოთხოვნები.

კიდევ ერთი მოვლენის შესახებ მინდა ვთქვა. ეს არის ჩვენს პარლამენტში კანონშემოქმედებითი პროცესის დაჩქარება, რაც, რა თქმა უნდა, ახალმა რეგლამენტმაც გამოიწვია. იყო ჩემი ორი სპეციალური მიმართვა პარლამენტისადმი იმ კანონების შესახებ, რომლებიც პრიორიტეტულად და გადაუდებლად არის მისაღები. ამ მხრივ საქმე, უდავოდ, დაიძრა. მიღებულია კანონი მეწარმეობის შესახებ და ზოგიერთი სხვა. მინდა მივესალმო კოლეგიის, სპიკერატის, ყველა კომისიის აქტიურობას და კვლავ მოვუწოდო მათ, რომ ეს ტენდენცია, საქმიანი, სერიოზული მიდგომა განმტკიცდეს, რათა შეივსოს საკანონმდებლო ვაკუუმი. სხვაგვარად, ჩვენ ძალიან დიდი კრიზისის წინაშე აღმოვჩნდებით სწორედ ეკონომიკის სფეროში. აუცილებელია ისეთი კანონების გადაუდებელი მიღება, როგორიცაა აუდიტორული საქმიანობის, დაზღვევის, ინვესტიციების, გაკოტრების შესახებ, მით უმეტეს, ჩვენს საზოგადოებაში არსებული მოვლენების გათვალისწინებით. მე უკვე მრცხვენია, იმდენი უცხოელი მოდის მეორედ, მესამედ, ვპირდები, რომ იქნება სრულყოფილი კანონი და, ჯერჯერობით, ეს ვერ შევძელით. საჭიროა კანონების სახელმწიფო საკუთრების განკარგვის, უფლებამოსილებათა გამიჯვნის, სამინისტროების შესახებ და ა. შ. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ პარლამენტი ამას თავს გაართმევს.

რაც შეეხება მტკივნეულ საკითხს გაკოტრებული ფირმების შესახებ, ვერ ვიტყვი, რომ ეს არის მხოლოდ თაღლითების მოძრაობა, მაგრამ ამის ელემენტები რომ არსებობს, სადავო არ არის. ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში (ფირმა „აჩი" იყო მაშინ ყურადღების ცენტრში გაკოტრებასთან დაკავშირებით) ერთგვარად გავაფრთხილე კიდეც ჩვენი საზოგადოებრიობა, სახელმწიფო ორგანოები და სტრუქტურები მოსალოდნელ უსიამოვნებათა შესახებ. თუმცა მაშინ, სიმართლე გითხრათ, არ მქონდა მონაცემები და წარმოდგენა იმ მასშტაბზე, რომელიც შეიძინა ამ საქმიანობამ. სამწუხაროდ, მოქალაქეთა ცდუნება ძალიან დიდი აღმოჩნდა. ბევრმა რაიონულმა და საქალაქო სტრუქტურამ სრული დოყლაპიობა გამოიჩინა. ბევრი თანამდებობის პირის რაიონებსა და ქალაქებში გამოუცდელობაც, გულგრილობაც, ცალკეულ შემთხვევებში — ბოროტმოქმედებაც და დაინტერესებაც აშკარაა.

ძნელია, შეედავო გაჭირვებულ მოქალაქეებს. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სახელმწიფო ვერც მომავალში ვერ იქნება პასუხისმგებელი ასეთ ოპერაციებზე. ასეთი წესი არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში. სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკის სასტიკ კანონებს თან სდევს მოვლენები სასტიკი შედეგებითაც. გაკოტრება ამ ტიპის ეკონომიკის დამახასიათებელი მოვლენა არის. ალბათ, ამასაც უნდა შევეგუოთ და ამიტომ ყველანი ფრთხილად უნდა ვიყოთ. ერთ კაპიკ დანაზოგსაც კი ისეთი ადგილი უნდა მივუჩინოთ, სადაც არსებობს შესაბამისი დაზღვევა და იმის გარანტია, რომ იგი არ დაიკარგება, პირიქით, სარგებელს მოიტანს.

მე უკვე გამოვაცხადე, რომ ამ დღეებში მინისტრთა კაბინეტი იმსჯელებს საკითხების მთელ ამ კომპლექსზე. უნდა ვეცადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, შევუმსუბუქოთ მდგომარეობა დაზარალებულ მოქალაქეებს. ვიყოთ მათი მოკავშირეები.

სამწუხაროდ, იმდენად მრავალრიცხოვანია სხვადასხვა ფირმები, გაერთიანებები, იურიდიული პირები (ასობით და ათასობით ფირმა ტარდება რეგისტრაციაში), რომ ელემენტარული მოთხოვნები, მაგალითად, ლიცენზიის შესახებ, არ არის გათვალისწინებული. მე უკვე აღვნიშნე, რომ აქ აშკარაა გამოუცდელობაც, უცოდინარობაც და ხანდახან — ბოროტმოქმედებაც.

— სოჭში ოთხმხრივი კომისიის მეათე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება გალში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაჩქარების თაობაზე, რომლის თანახმადაც დასაბრუნებელთა რაოდენობა და დაბრუნების ტემპები გაიზრდება. გასულ კვირას საქინფორმმა გვაუწყა, რომ ბრიუსელში ნატოს პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა კავკასიაში შექმნილი ვითარება, სადაც რუსეთის წარმომადგენელმა საინტერესო ფრაზა წარმოთქვა: „რუსეთი არასოდეს უჭერდა მხარს სეპარატიზმს". ამ სიტუაციაში საქართველოში ჩამოდის გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს გალი, იმ საერთაშორისო სტრუქტურის ხელმძღვანელი, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარ კონფლიქტებზე და რომელმაც ათი რეზოლუცია მიიღო აფხაზეთთან დაკავშირებით...

— ის ფაქტიც, რომ ნატომ იმსჯელა ამ საკითხებზე და ის პოზიციაც, რომელიც რუსეთის დელეგაციამ დაიკავა — თავისთავად მისასალმებელი და მნიშვნელოვანია.

ახლა, არსებით საკითხზე: ლაპარაკი ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის რეალურ დაჩქარებაზე, რა თქმა უნდა, ნაადრევია. ჩვენ ყველანი სულ სხვა ტემპსა და მასშტაბს ველოდით და ველით. მინდა დავიწყო მსჯელობა რეალურად და სიმართლის შესაბამისად. ჩემში გაკვირვებას იწვევს მოლაპარაკებაზე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, გაეროს წარმომადგენლების, ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და სხვების, ასევე, ნაწილობრივ, რუსეთის დელეგაციის პოზიციაც. მხედველობაში მაქვს სოჭის მოლაპარაკება, ნოემბრის განმავლობაში, მაგალითად, ათასი კაცის შეყვანის ფაქტის ლამის ზარ-ზეიმით გამოცხადება, ვფიქრობ, მთლად სერიოზული არ არის. ეს იმის ბრალია, რომ ზემოთ დასახელებულმა დელეგაციებმა არ დაიკავეს და ვერ დაიკავეს საჭირო აუცილებელი პოზიცია. ლაპარაკი სხვა მასშტაბსა და სხვა პირობებზე უნდა ყოფილიყო. ჯერჯერობით, მოლაპარაკებაზე პირობებს მხოლოდ ერთი მხარე კარნახობს. თუ ეს ასე გაგრძელდება, თავისთავად მოლაპარაკება დაკარგავს მნიშვნელობასა და ძალას. სოჭის მოლაპარაკებას არ ესწრებიან სამხედროები, როცა მათ ამას ეუბნები, ისინი გვპასუხობენ, რომ საკითხები დიპლომატებმა უნდა გადაწყვიტონ. მგონია, ამას აბდაუბდის სახე აქვს, რასაც ბოლო უნდა მოეღოს — მოლაპარაკება მოლაპარაკებას უნდა დაემსგავსოს. თუ ასე გაგრძელდა და ამ ტემპით ვიარეთ, შედეგები ძალიან მძიმე იქნება და სამშვიდობო პროცესი ჩაიშლება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ასე მოხდეს. მაგრამ საფრთხე კი რეალურად არსებობს.

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას ვეტყვი გაეროს გენერალურ მდივანს, აგრეთვე სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენთან კონტაქტში არიან.

რაც შეეხება საქართველოში ბატონ ბუტროს-ბუტროს გალის ჩამოსვლას, თვით ფაქტია მნიშვნელოვანი. გენერალურმა მდივანმა დიდი როლი შეასრულა იმ ათი რეზოლუციის მომზადებასა და მიღებაში, რომლებიც, პრაქტი-

(დასასრული მე-2 გვ.)

მერვე სვეტი

ქართული ეკლესია და კულტურა

30 ოქტომბერს თელავის დრამატული თეატრის შენობაში ამ თემაზე გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ალავერდის ეპარქია, საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო და თელავის გამგეობა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართული ეკლესიის, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

თეატრის ფოიეში წარმოდგენილი იყო ქართველ რესტავრატორთა მიერ განხორციელებული სამუშაოების საუკეთესო ნიმუშები, სამეცნიერო თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარ მასალებზე დამყარებული არქიტექტურული ნაგებობების რესტავრაციის პროექტები, ფოტომასალა და ასლები ქართული ეკლესიის კედლის მხატვრობის სხვადასხვა ნიმუშებიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლერი მეძმარიაშვილმა, ალავერდის ეპარქიის პატრიარქმა მეუფე დავითმა და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა მარიამ დიდებულიძემ ისაუბრეს კონფერენციისა და საერთოდ, ამ გამოფენის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე.

ასე რომ, კონფერენციით „ქართული ეკლესია და კულტურა", შეიძლება ითქვას, ქართული აზროვნების დამკვიდრებისა და ერის კულტურის შენარჩუნების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა.

გურამ სოზაშვილი,
საქინფორმის კორ.

სეპარატისტები აწყობენ კონგრესებს და ეხმარებიან ბავშვებს

ზუგდიდის ტელეკომპანია „ოდიშის" მონაცემებით, 22-26 ოქტომბერს სოხუმში გაიმართა აფხაზი ახალგაზრდობის კონგრესი. განიხილეს აფხაზეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, ჩიხიდან გამოსვლის გზები, რომელშიც ეს ოდესღაც აყვავებული მხარე აღმოჩნდა.

სეპარატისტთა ტელევიზია, რომელიც სოხუმიდან აწარმოებს მაუწყებლობას, აგრეთვე იტყობინებოდა, რომ თურქეთში, იორდანიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში მოქმედი აფხაზური დიასპორა მატერიალურ და სხვაგვარ დახმარებას უწევს იმ აფხაზ ბავშვებს, რომელთა მშობლები დაიღუპნენ 1992-1993 წლების ომში.

სოხუმის ტელევიზიას, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს იმ ათიათასობით ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების ბავშვის ბედსა და მდგომარეობაზე, რომლებსაც ასევე დაეღუპათ მშობლები და, რომლებიც იძულებული გახდნენ სიცოცხლის გადარჩენის მიზნით აფხაზეთი დაეტოვებინათ.

ლაშა ბერულავა,
თენგიზ პაჭკორია,
საქინფორმის კორ.

კიდევ ერთი მცდელობა...

31 ოქტომბერს ექსპრეზიდენტის მომხრეთა დაახლოებით 300-400-კაციანი ჯგუფი შეეცადა დედაქალაქის მთავარ მაგისტრალზე — რუსთაველის პროსპექტზე მოეწყო რესპუბლიკის ხელისუფლების საწინააღმდეგო აქცია. ამასთან, აქციის მონაწილენი მოითხოვდნენ შეხვედრას საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ბუტროს-ბუტროს გალისთან. დესტაბილიზაციისა და ქაოსის მორიგი მცდელობა სამართალდამცავმა ორგანოებმა აღკვეთეს.

საქინფორმი.

აჭარა:

ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ავანგარდში

(დასასრული)

ბის ეპოქა და ეს სულაც არ არის გაზვიადებული, რადგან სწორედ ახლა იწყება ახალი წყობის, ახალი სისტემის ფორმირება. რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები შეეხება ყველა დარგს, მათ შორის მეცნიერებასაც. მისწრაფება სიახლისაკენ, რომელიც ასე რელიეფურად გამოიკვეთა ახლა აჭარაში, აუცილებლად გადააქცევს რეგიონს ქვეყნის ერთ-ერთ კულტურულ, სამეცნიერო ცენტრად და აჭარა აღორძინებს თავის ტრადიციულ როლს საქართველოს ისტორიაში. სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებით აღნიშნა ის როლი, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობა ასრულებს ესოდენ მასშტაბურ გარდაქმნათა განხორციელებაში, ამასთან თქვა, რომ ჩვენ უნდა ვიაროთ სახელმწიფოს რეგიონული მოწყობის გზით. მმართველობის ცენტრალიზებულ სისტემას, დიდი ხანია, ყავლი გაუვიდა და მისი მეშვეობით ალბათ, რაიმე ოპტიმალურის გაკეთება შეუძლებელი იქნება. დღეს, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, ჩვენში მეტი აქტუალურობა შეიძინეს ეკონომიკურმა რეფორმებმა და ბევრი რამ, რისი გაკეთებაც აჭარაში მოხერხდა, ეს რეფორმების მეოხებითაა. ამ თვალსაზრისით აჭარა უნდა გახდეს მოდელი და, თუ ვინმე უნდა იყოს ამაში რეგიონის ხელმძღვანელობის მოკავშირე, ეს უწინარეს ყოვლისა, მეცნიერები უნდა იყვნენ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაური გაეცნო ბათუმის ერთ-ერთი ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტს, რომელსაც ახლახან მიენიჭა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ირაკლი აბაშიძის სახელი, რომელიც ბათუმის საპატიო მოქალაქე იყო. სხვათა შორის, ამ ქუჩისათვის სახელის მინიჭება დაემთხვა პოეტის დაბადების 85 წლისთავს. უნდა ითქვას, რომ ბათუმში მთელი ამ წლების მანძილზე არ ცხრებოდა მშენებლობის რიტმი. და ახლაც აქ მიმდინარეობს იმ შენობათა რეკონსტრუქცია, რომლებიც წარმოადგენენ არქიტექტურულ ღირებულებას, წარმოებს ახალ ტერიტორიათა განაშენიანების სამუშაოები. სახელმწიფოს მეთაურს შესაძლებლობა მიეცა თავად გაეჭრა ლენტი და გაეხსნა მოძრაობა მდინარე აჭარისწყალსა და მაჭახელაზე აგებულ საავტომობილო ხიდებზე.

იმავე დღეს სახელმწიფოს მეთაური დაესწრო ბათუმის საოპერო თეატრის სპექტაკლს „ლელა". თეატრის კოლექტივის ეს ნამუშევარი მოისმინეს ბათუმში მყოფმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების, სომხეთისა და აზერბაიჯანის ელჩებმა მეუღლეებითურთ. იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე თბილისში დაბრუნდა.

30 ოქტომბერს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა მუშაობას განაგრძობდა. გაიმართა შეხვედრა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ასლან აბაშიძესთან. განიხილეს მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისათვის, არამედ ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვისაც.

შემდეგ მეცნიერები შეხვდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მასწავლებლებს, სადაც აკადემიკოსმა ალბერტ თავხელიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „ნაწილაკების ფიზიკა და სამყაროს აგებულების თანამედროვე პრობლემები", რომელმაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა ამით დამთავრდა.

და მაინც, რა ხდება აჭარაში? აქ ადამიანები სიყვარულით ხნავენ მიწას, რასაც მოწმობს მოვლილი ციტრუსოვანთა პლანტაციები და მანდარინით დახუნძლული ხეები, ბათუმის გაწკრიალებული ქუჩები და არც ერთი ჩამსხვრეული მინა შენობებში, ნუთუ პრობლემები არ არის? როგორ არა, ისინი საკმარისზე მეტია — აკლია ელექტროენერგია, არის სიძნელეები მოსახლეობის პურით, სათბობით მომარაგებაში, ციტრუსოვანთა კრეფისა და გაზიდვის ორგანიზაციაში და ბევრი სხვა. აი, ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს ჩვენი აჭარა და, აქედან გამომდინარე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ჩაწერა თავის დადგენილებაში, რომ იგი იწონებს და მხარს უჭერს აჭარის ახლანდელი ხელმძღვანელობის კურსს, რომლის მიზანია აქ გარდაქმნათა განხორციელება.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

გია ჭელიძე,
„სრ" აჭარის ბიურო

ოთარ ფაცაციამ მიიღო ბერძენი ბიზნესმენები

31 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო ბერძენ ბიზნესმენთა ჯგუფი ბატონ ბაბანისის ხელმძღვანელობით. პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს საინტერესო გამოფენა-გაყიდვის მოწყობისათვის, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

როგორც ცნობილია, 2 თვეა საქართველოსა და საბერძნეთს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტელეკომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, ბატონმა ბაბანისმა მოკლე რეზიუმე გააცნო და მოახსენა პრემიერ-მინისტრს დაგეგმილი პროექტების შესახებ.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, კორპორაცია „საქართველოს" პრეზიდენტი გოგი ბუკია.

ოთარ ფაცაციამ მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია

31 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში ბატონ ადმან ვალავის მეთაურობით. საუბარი შეეხო საქართველოში სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას. აღინიშნა ზოგიერთი მტკივნეული მომენტი, რომელიც უახლოეს დროში უნდა მოგვარდეს.

შეხვედრის შემდეგ დელეგაციის წევრებმა პროფილის მიხედვით მუშაობა გააგრძელეს ვიცე-პრემიერებთან თემურ ბასილიასთან და ზურაბ კერვალიშვილთან.

ნატოს პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა კავკასიაში შექმნილი ვითარება

საქართველოს საელჩოს ინიციატივით ბრიუსელში გაიმართა ნატოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომა ექსპერტების მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა კავკასიაში შექმნილი ვითარების განხილვას. სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა რ. ადამიამ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ რეგიონში სტაბილურობის მიღწევა საერთო ევროპული პრობლემაა, ვინაიდან შეუძლებელია ევროპული უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფა კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების მოუწესრიგებლად. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია ქვეყნების კოორდინირებული მოქმედების გაძლიერება რეგიონში არსებული რეალური ვითარების გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხის გამო მოსაზრებები გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციის, სომხეთის, თურქეთის, იტალიის, დანიის, ესპანეთისა და შვედეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ სტაბილიზაციის პროცესი კავკასიის რეგიონში უწინარესად, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის ფუძემდებლურ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს. კერძოდ, რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა არასოდეს არ უჭერდა მხარს სეპარატისტულ მოძრაობას და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით მიღწეული შედეგების დაკანონებას. აღინიშნა აგრეთვე, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმების შექმნაში უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი ევროთათბირის მონაწილეობა. პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე ითქვა, რომ კავკასიის პრობლემები მომავალშიც იქნება ნატოსა და ნაქსის ყურადღების ცენტრში.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

პარლამენტის წევრის ბატონ თემურ ჟორჟოლიანის საპროტესტო აქციის თაობაზე

აღნიშნავს რა, რომ საპროტესტო შიმშილობა არის პარლამენტზე ზემოქმედების მიუღებელი ფორმა, მაგრამ ამასთანავე ითვალისწინებს ბატონ თემურ ჟორჟოლიანის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას 31-დღიანი შიმშილობის შედეგად, და ითვალისწინებს, რომ ბატონი თემურ ჟორჟოლიანი შეწყვეტს საპროტესტო აქციას პარლამენტის ამ დადგენილების მიღების შემდეგ,

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

გაიმართოს ამა წლის 8 ნოემბერს საპარლამენტო დებატები საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გარშემო (კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის განცხადებაში ჩამოყალიბებული საკითხების გათვალისწინებით) პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობით და პარლამენტის ეს სხდომა გადაიცეს ღია ეთერში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 27 ოქტომბერი, 1994 წ.

„ადამიანები დღეს მხარს უჭერენ სტაბილურობის, ნორმალური ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებას, თუნდაც სრულიად უმნიშვნელოს"

(დასასრული)

კულად, კონფლიქტის მოწესრიგების სამართლებრივ ბაზას წარმოადგენენ. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. გენერალური მდივანი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობასა და მთლიანობას, რაც მის გამოსვლებში არაერთხელ აღნიშნულა. მიხთვის აქ ორი აზრი არ არსებობს. ამასთან, ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, იგი დღევანდელობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო საერთაშორისო მოღვაწეა და, ბუნებრივია, მისი სტუმრობა საქართველოსათვის საპატიოც არის და, გარკვეულწილად, საიმედოც.

— გასულ კვირას თქვენ აჭარაში ბრძანდებოდით, სადაც განაცხადეთ, რომ აჭარამ გადაურჩა იმას, რაც მოხდა ბევრ რეგიონში, მათ შორის, თბილისშიც: ვანგრიეთ, რისი დანგრევაც შეიძლებოდა, ვანგრიეთ ჩვენი შვილების ქონება. რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და სიმბოლურიც, თქვენ თქვით ბათუმში, 28 ოქტომბრის არჩევნების მეოთხე წლისთავზე: ნგრევის პროცესი შეჩერდა. საბედნიეროდ, მხოლოდ აჭარა აღარ არის გამონაკლისი. გარკვეული დადებითი პროცესები მიმდინარეობს ქუთაისში. თბილისში. სტაბილურობის მომენტი დღეს უკვე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაჩნდა...

— როგორც უკვე აღვნიშნე, ბათუმშიც და ბათუმიდან დაბრუნებისას დიდი შთაბეჭდილებები მივიღე. ვთქვი, რომ გამოიკვეთა ტენდენცია აჭარის, ბათუმის ისტორიული მისიის ფორმირებისა და შესრულებისა. ისტორიული მისია საქართველოს ამ ძირძველი კუთხისა კი ის არის, რომ იგი თანდათანობით იძენს ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი კულტურული, მეცნიერული და სამეურნეო კვანძის ფუნქციას. ყველამ უნდა დავუჭიროთ მხარი ამ ტენდენციას და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, ბატონ ასლან აბაშიძეს, რომლებიც ამ დიდი საქმის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან.

— შაბათს შეწყდა კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ლიდერის თემურ ჟორჟოლიანის შიმშილობის აქცია პარლამენტის შენობის წინ. რა შეფასებას მისცემდით ამ ტიპის აქციების მოწყობის ფაქტს?

— ასეთი მოვლენებისადმი ჩემი დამოკიდებულება ყველასათვის ცნობილია. ბუნებრივია, ყველა ადამიანს აქვს არა მარტო ჭამის, არამედ შიმშილის უფლებაც. პრინციპში, შიმშილობები, მიტინგური აზროვნება და მოქმედება იმ გაგებითა და მასშტაბით, რაც იყო საქართველოში, ქუჩური ფსიქოლოგია, არასტაბილურობის კერების გაჩენა და გაჩაღება (ჩვენ ამის დიდი სპეციალისტები ვართ), ძალიან ძვირად, აუნაზღაურებლად ძვირად დაუჯდა საქართველოს. ძალიან ძვირად დაგვიჯდა ჩვენ პროვინციული ფაშიზმი. იცით მისი აღმოცენების გენეზისი. რამდენი სისხლი, რამდენი მსხვერპლი და უბედურება მოუტანა მან ქვეყანას. ახლაც გარკვეული ძალები თავს გვახვევენ ძველებურ პროვინციულ აზროვნებას, მოქმედების პროვინციულ ფორმებს, ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების თუ ძალების ლოგიკა ასეთია: ვერ გაიმარჯვე პარლამენტში, მოვსინჯოთ ქუჩაში. მაგრამ ყველას გასაგონად ვამბობ: ვერც ქუჩაში მიაღწევს საწადელს, ვისაც ამის სურვილი აქვს. მაგრამ ვერ გადაიჩვია ქუჩა-ქუჩა სირბილსა და წანწალს პოლიტიკური მიზნებით. საქართველოს მოქალაქენი ის აღარ არიან, რაც რამდენიმე წლის წინათ იყვნენ. გავიდა ის დრო, გავიარეთ ის ეტაპი და სულ სხვა ხალხთან, სულ სხვა მოქალაქეებთან გვაქვს საქმე. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ადამიანები დღეს მხარს უჭერენ სტაბილურობას, ნორმალური ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებას, თუნდაც სრულიად უმნიშვნელოს. მხარს უჭერენ და დაუჭერენ იმათ, ვინც თანამიმდევრულად, თავდადებითა და თავგანწირვით იბრძვის და იბრძოლებს ქვეყნის სტაბილურობისა და ქვეყნის გადარჩენისათვის. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს საკითხები ქუჩაში არ გადაწყდება.

მინდა ისიც ვთქვა, რომ ბატონმა თემურ ჟორჟოლიანმა შიმშილობის შეწყვეტით დაადასტურა, რომ, ბოლოს და ბოლოს, საღი აზრი იმარჯვებს.

— გასულ კვირას ორმა მაღალი თანამდებობის პირმა დატოვა პოსტი — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ და საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ...

— ამ ერთგვარ ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რუსეთის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუში ვთქვი: ჩემი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე ის არის, რომ მიჭირს უარი ვუთხრა ნდობაზე ადამიანს, რომელსაც ვენდობოდი. მაშინაც კი მიჭირს, როდესაც ამის საფუძველს მაძლევენ. მიჭირს ვაღიარო, რომ მოვტყუვდი, შევცდი ამა თუ იმ ადამიანში. ეს ჩემი ძალიან დიდი სისუსტეა. ამასთან, ისიც უნდა ვთქვა, რომ ასეთ შემთხვევებში ყველამ უნდა სძლიოს საკუთარ თავს და მათ შორის სახელმწიფოს მეთაურმაც. ის, რაც 15 ოქტომბრის თათბირზე ითქვა — მუქარა კი არ იყო, არამედ გარკვეული პლატფორმა მოქმედებისათვის, მომთხოვნელობისა და სამართლიანი სიმკაცრის კურსის გაგრძელება. სწორედ ამას მოითხოვს ჩვენი საზოგადოებრიობა. დღეს ხალხის მოთხოვნა ასეთია და ხელისუფლება ხალხს ემსახურება. ეს არ არის კომუნისტური ლოზუნგი, ყველა ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში ეს ასეა: ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და იყენებდეს ყველა ფორმასა და მეთოდს, რომლებიც დემოკრატიული აზროვნების და დემოკრატიული თანაცხოვრების ფარგლებში თავსდება.

მოქალაქეთა და ქვეყნის ინტერესები უფრო მაღალია, ვიდრე, რომელიც გნებავთ თანამდებობის პირისა, თუნდაც მის მიმართ სახელმწიფოს მეთაურის დამოკიდებულება ძალიან მეგობრული და კეთილი იყოს. მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობისა და ხალხის ინტერესებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. ჩვენ კვლავაც მოგვიწევს მძიმე გადაწყვეტილებების მიღება, თუ ამას ქვეყნისა და ხალხის ინტერესები მოითხოვს.

— როგორ შეფასებას მისცემთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გიორგი ჭანტურიას მიერ გაკეთებულ განცხადებას. კერძოდ, გასულ კვირას პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა იგორ გიორგაძემ მას შტაბ-ბინაში მოსასმენი აპარატურა დაუყენა.

— სიმართლე გითხრათ, ამ განცხადებამ სულის სიღრმემდე შემძრა, რადგან ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალის ლიდერის განცხადება და შეუძლებელია მას ანგარიში არ გავუწიო, არ შევშფოთდე. ამასთან, ჩემთვის ძალიან ძნელად დასაჯერებელი, წარმოუდგენელია, რომ ჩვენს დროში მსგავსი რამ მოხდეს. თუ ამ განცხადებაში არსებობს სიმართლის თუნდაც მისხალი, გადაწყვეტილება სასტიკი უნდა იყოს. ვფიქრობ, დღეს ხელს მოვაწერ განკარგულებას, რომლითაც პროკურატურას დაევალება ყველაფერი შეამოწმოს და სიმართლე მოახსენოს საზოგადოებრიობას. მით უმეტეს რომ არსებობს უშიშროების სამსახურის კოლეგიის მიმართვაც პროკურატურის ორგანოებისადმი. ჩვენ ყველანი, ვფიქრობ, ბატონი გია ჭანტურიაც, უშიშროების სამსახური და პირადად მე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, მთელი საზოგადოება დაინტერესებული ვართ გავიგოთ რაშია საქმე.

— გუშინ ქვემო ქართლის — ახალი რეგიონის რწმუნებული დაინიშნა. თქვენ გასულ კვირას შეხვედრა გქონდათ ქვემო ქართლის წარმომადგენლებთან. დღეს საქართველოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო ამგვარი ნაბიჯის გადადგმა?

— აუცილებელი იყო. ჩემი თანამოაზრეებიც კი ხანდახან მედავებიან, არის თუ არა საჭირო ასეთი წარმონაქმნი. მიმაჩნია: აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ უწინარესად, ამ რეგიონში წესრიგი დამყარდეს და გამტკიცდეს ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც ზოგიერთ რაიონში ჩამოყალიბდა. აუცილებელია იმიტომაც, რომ ამ რეგიონს საარსებო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის — ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც. მქონდა კონტაქტები ქართველ მოსახლეობასთან, ბერძნებთან, სომხებთან და სხვებთან. ჩემთან იყვნენ აზერბაიჯანული მოსახლეობის წარმომადგენლები და უნდა გითხრათ, რომ ისინი მიესალმებიან ამ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, იქნება გამონაკლისიც. იმის გამო, რომ ცენტრალური ხელისუფლება ვერ წვდება ყველა რეგიონსა და რაიონს, ჩვენ ძალიან ბევრს ვკარგავთ. ამ რეგიონს უზარმაზარი პერსპექტივები აქვს. ასეთი პერსპექტივები ისახება ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში. ახლებურად გამოიკვეთა რუსთავის როლი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ვფიქრობ, რუსთავი, სხვა რაიონებთან — მარნეულთან, ბოლნისთან, წალკასთან, გარდაბანთან, დმანისსა და სხვებთან ერთად განსაკუთრებულ როლს შეასრულებს.

როგორც აღვნიშნე, წესრიგი უპირველესი ამოცანაა. ამან განაპირობა რწმუნებულის კანდიდატურის განსაზღვრაც. ახალგაზრდა კაცი — ბატონი ლევან მამალაძე ერთგულებაში, პატიოსნებაში, გაბედულებაში გამოცდილი, ნიჭიერი და უნარიანი ორგანიზატორია. ვფიქრობ, შემთხვევითი არ იყო, რომ, როცა მისი დანიშვნის შესახებ გუშინ რუსთავში გამგებლების შეკრებაზე გამოაცხადეს, მიესალმნენ მას, მხარი დაუჭირეს და შეპირდნენ თანადგომასა და დახმარებას.

— გარკვეული დროის შემდეგ გუშინ სამცხე-ჯავახეთმა „შოთაობის" ტრადიციული დღესასწაული აღნიშნა...

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან მისასალმებელი ღონისძიებაა, თუმცა ხშირად გაიგონებთ, რა დროს ზეიმიაო. ეს არ არის ზეიმი, ეს არის აღნიშვნა სერიოზული მოვლენისა და რეგიონის მნიშვნელობის ხაზგასმა. ხდება სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მისიის აღდგენა. პირველი, არამასშტაბური, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ეს ისტორიული მისია ყველამ ერთად უნდა აღადგინოს — ქართველებმა, სომხებმა, ბერძნებმა, რუსებმა (ამ რეგიონში მრავალფეროვანი ეროვნული შემადგენლობაა), რეგიონის ყველა მკვიდრმა. ვიცი, რომ გუშინდელ ზეიმში რეგიონის სომეხი მოსახლეობა მონაწილეობდა. იქ იყვნენ ბერძნებიც, რუსებიც, მაგრამ განსაკუთრებით თვალში საცემი იყო სომეხი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა, ისევე, როგორც სომხეთათვის წმინდა დღეებში ქრისტიანთა ტრადიციულად აქტიური მონაწილეობა. ასე რომ, გუშინდელ ღონისძიებას, გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობაც—რეგიონი ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს სახელმწიფოებრიობაში. ეს პროცესი უკვე დაიწყო.

რომ გამოვიზამთროთ

საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით

ბოლო წლებში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ საქართველო უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა. სურსათის, გაზის, ელექტროენერგიის, ნავთობპროდუქტების ქრონიკული დეფიციტი განსაკუთრებით დიდ სირთულეებს ქმნის ზამთარში. ყოველივე ეს კარგად ესმის ხელისუფლებას. ამიტომაც კარგა ხანია შეიქმნა ზამთრისათვის მზადების რესპუბლიკური და რეგიონული შტაბები მოსალოდნელი კრიზისების თავიდან ასაცილებლად. ამის მიუხედავად, საქმის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმუშავებენ ადგილობრივი მართვის ორგანოები, მათი ხელმძღვანელები მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებას, არსებული რეზერვების გამონახვისა და ეფექტიანად გამოყენებისთვის. იმის გასაგებად თუ როგორ ამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელიწადს, როგორ ემზადებიან ზამთრისთვის ახმეტელი მშრომელები, გთავაზობთ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ხვთისო არჩემაშვილის საუბარს ამ რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარესთან გიორგი ახმეტელთან.

— ბატონო გიორგი, ნათქვამია გაზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს კვებავსო. ეს სიბრძნე იმას მიუთითებს, რომ მომავალი ზამთრის იოლად გადატანა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, როგორ ემზადებით ამჟამად ამ მკაცრი სეზონისთვის, არამედ იმაზეც, თუ მთელი წლის მანძილზე როგორ ხორციელდება ახალ რეფორმებზე გადასვლა, კერძოდ მიწის პრივატიზაცია, მით უმეტეს, რომ ამ საკითხებზე არაერთგვაროვანი აზრი არსებობს.

— მართალი ბრძანდებით. ჩვენი ხვალინდელი დღის სიკეთეს განაპირობებს არა მარტო ის, თუ როგორ ვიმუშავებთ ხვალ, არამედ ის, თუ როგორ ვიმუშავეთ გუშინ, გუშინწინ. რეფორმებზე ბრძანეთ. ალბათ, ორი აზრი არ არსებობს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების შეუქცევადი გზა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაა. მაგრამ ერთი რამ პირდაპირ უნდა ითქვას: რესპუბლიკის ეკონომიკური გარდაქმნა ძალზე მოუმზადებლად დაიწყო. მოვიყვან ერთ მაგალითს: მიწის პრივატიზაციისათვის ყველაფერი ნაჩქარევად გაკეთდა. მიწა ერთბაშად გადავეცით გლეხებს, სოფლის საწვავით, სასუქ-ქიმიკატებით და ტექნიკით მომარაგებაზე კი არ გვიფიქრია. ამის შედეგად მიწის უდიდესი ფართობები დაუმუშავებელი დარჩა, უფრო მეტად კი ვენახები დაზარალდა. ნაწილი გაიკაფა, ნაწილს ბალახმა გადაუარა. ამის მიუხედავად გულხელი არავის დაუკრეფია. ზოგი ჭირი მართლაც მარგებელია: პურის ფქვილის მოწოდების შემცირებით ხალხი მიხვდა, რომ აუცილებელია მარცვლეული კულტურების დათესვა. ხორბლეულზე რომ არაფერი ვთქვათ, წლეულს ახმეტის რაიონში სიმინდის ისეთი საუკეთესო მოსავალია, კაცმა რომ თქვას, თუ გაჭირდა, ამითაც გაიტანს თავს ჩვენი მოსახლეობა.

— რასაკვირველია, მიწის პრივატიზაციაში დაშვებული შეცდომების უარყოფითი შედეგები მნიშვნელოვანია. მაგრამ გამოსავალი თუ არსებობს?

— გამოსავალი ისაა, უფრო სწორედ, ეს გამოსავალი ჩვენ თვითონ უნდა გამოვნახოთ, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით. ამ მიმართულებით ადგილებზე იქმნება ცალკეული რაიონების ტექნიკით გამ-[illegible] ბირჟები და შესაძლებლობანი, რაც საშუალებას აძლევს მათ დაეხმარონ მეზობლებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში. მეორე — ეს არის დღემდე არსებული მეურნეობების და კოლმეურნეობების მცდელობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის გზით შეიძინონ საწვავი, ტექნიკა, რაც მიწის უკეთ დამუშავების გარანტიას იძლევა.

მაგრამ მთავარი და ძირითადი, რაც ნაჩქარევი პრივატიზაციის შედეგების გასწორების იმედს გვინერგავს, ეს არის ადამიანებში მესაკუთრის, მიწის მეპატრონის ფსიქოლოგიის გაჩენა და ჩამოყალიბება. სოციალიზმის დროს ყველაფერი გეგმიანად, ცენტრალიზებული წესით შემოდიოდა. ამან გარკვეულად გაგვანებივრა, გაგვაზარმაცა და უზრუნველიც გაგვხადა. დღეს სწორედ ამ უზრუნველყოფის ინერციის დაძლევა ხდება და ყალიბდება ადამიანი, რომელსაც არავის იმედი აღარ აქვს, საკუთარის გარდა. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანებში ყალიბდება თვითუზრუნველყოფის შეგნება, რომელიც თანდათან უდიდეს მატერიალურ ძალად იქცევა. ეს პროცესი რასაკვირველია, მძიმეა, მაგრამ პერსპექტიული, რაც უფრო შევუწყობთ ხელს ამ პროცესის განვითარებას, მიწას მით უფრო მალე ეყოლება ნამდვილი პატრონი და, შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში მდგომარეობაც რადიკალურად შეიცვლება.

— ის, რაც ბოლოს ხაზგასმით აღნიშნეთ, მეტად არსებითი ფაქტორი ჩანს, ამის მიუხედავად, მაინც მინდა გკითხოთ, როგორია ახმეტის რაიონის მოსახლეობის განწყობილება, სულისკვეთება და როგორ ესახებათ მისი სამეურნეო-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების გზები? კერძოდ, რა შეიძლება გაკეთდეს რაიონში ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელებისათვის?

— იმის მიუხედავად, რომ ჩვენი რაიონის მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდის, ის სასოწარკვეთილებამდე არ მისულა და არც მივა. ჩვენი ადამიანები იმედით შეჰყურებენ მომავალს და ამ იმედის საფუძვლად შრომა მიაჩნიათ. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გასაგები მიზეზების გამო თითქმის უფუნქციოდ დარჩა, ეძებს ადგილს ახალშექმნილ სიტუაციაში და, წარმოიდგინეთ, ბევრი მათგანი პოულობს კიდეც. რაიონში ამჟამად არსებობს რიგი მცირე მოცულობის საწარმოები, ფირმები, რომლებიც არაერთ კარგ საქმეს აკეთებენ ხალხისთვის; ბევრგან გადავიდნენ შრომის ნატურალურ ანაზღაურებაზე, რამაც გარკვეულწილად გააუმჯობესა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. შეიძლება დავასახელოთ ახმეტის სამრეწველო-კომერციული საწარმო „მერანი", ახმეტის საკონსერვო ქარხანა, ფირმა „თუშეთი" და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ფართო გაქანება ჰპოვა კერძო მეცხოველეობის განვითარებამ. სოფლად თითქმის აღარავინ დარჩა, პირუტყვი რომ არ ჰყავდეს. კერძო პირუტყვის მომრავლების ტენდენცია იმის იმედს გვაძლევს, რომ უახლოეს წლებში მეცხოველეობის პროდუქტები საგრძნობლად გაიაფდება. მეცხოველეობა საზოგადოებრივ სექტორში შემცირდა, მაგრამ ახლა გადამჭრელ ზომებს ვიღებთ მდგომარეობის შესაცვლელად.

— კონკრეტულად ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელებაზე რას იტყოდით?

— ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რაიონში სამეურნეო-ეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად, კრიზისული სიტუაციების დასაძლევად აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ რაიონის განვითარებისათვის ისეთ პრიორიტეტულ დარგებზე, რომელთა წინსვლა-განვითარება დამოკიდებული არ იქნება რაიონის გარედან შემოტანილ მატერიალურ-ენერგეტიკულ რესურსებზე და მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ რეზერვებს ადგილზევე გამოვნახავთ. ერთი სიტყვით, ვფიქრობთ ყველაფერი ძირითადად საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით გავაკეთოთ. ეს შესაძლებლობანი გათვლილია. კერძოდ, ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლისთვის ახმეტას აქვს ბუნებრივი რესურსები, რომელთა საფუძველზე შეგვიძლია ავაგოთ 4, თითოეული დაახლოებით 10 მეგავატის სიმძლავრის მცირე ჰესი, რაც სრულად დააკმაყოფილებს ახმეტის რაიონის საწარმოებსა და მოსახლეობას. ასევე ახმეტის ახლოს არსებობს ნავთობის დებეტი იმ რაოდენობით, რომლის გადამუშავების შემთხვევაში რაიონი უზრუნველყოფილი იქნება ნავთობპროდუქტებით.

რაც შეეხება მრეწველობის სფეროს, ამ მხრივაც არის რაიონში გარკვეული რეზერვები. კერძოდ, მარმარილოს დამუშავების მთლიანი ციკლი უნდა განხორციელდეს ადგილზე. ეს კარგ შემოსავალს მოგვცემს. გაფართოვდება საკონსერვო მრეწველობა. ხე-ტყის კომბინატსაც შეუძლია რაიონს მისცეს დამატებითი მოგება. ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე წარმოების გაფართოების დიდი შანსი აქვს ფარმაცევტულ ქარხანას; მცირეგაბარიტიანი ტექნიკის გამოშვება შეუძლია რაიონში არსებულ საწარმოს „თბოაგრეგატს". აუცილებელია დროებით შეჩერებული თუ დაკონსერვებული მშენებლობების განახლება. კერძოდ, მატყლის და ტყავის გადამამუშავებელი საწარმოსი მთათუშეთში, ჰესისა — ილტოს ხეობაში, ვფიქრობთ აქტიური ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებას, მთათუშეთის ეროვნულ პარკად გამოცხადებას და სხვა. ვიმეორებ, ადგილობრივ, საკუთარ შესაძლებლობათა გამოყენებით უნდა შევძლოთ რაიონის ეკონომიკის მკვეთრი წამოწევა, რაც საბოლოო ანგარიშით რესპუბლიკის წინსვლას შეუწყობს ხელს.

— საუბარი გაგვიგრძელდა, ახლა უშუალოდ ზამთრისათვის დღევანდელ სამზადისზე. რამდენადაც ვიცი, წინა წლების გამოცდილება საკმაოდ მწარეა.

— მართალი ხართ. გაზი, სინათლე, საწვავი ჩვენთვის მთავარი პრობლემებია. აქ სახელმწიფოს დაუხმარებლად გაგვიჭირდება. გაზი დღესაც არა გვაქვს, საწვავზეც დიდი გაჭირვებაა. მაგრამ მთავარზე მთავარი მაინც მოსახლეობის ფქვილით უზრუნველყოფაა. სახელმწიფო ყოველკვარტალურად გვიყოფს ფქვილს, მაგრამ ურესურსობის გამო ყოველთვის ვერ ვღებულობთ ნორმირებულ რაოდენობას. ამიტომ ვცდილობთ შესაძლებლობის ფარგლებში შევქმნათ მარცვლეულის მარაგი, რასაც ყველაზე აუცილებელ მომენტებში გამოვიყენებთ.

მოგეხსენებათ, მომავალი ზამთრისთვის მზადებასთან დაკავშირებით შექმნილია რესპუბლიკური და კახეთის რეგიონული შტაბები. ასეთი შტაბი რაიონშიც შევქმენით, რომელსაც უშუალოდ მე ვხელმძღვანელობ. მოსახლეობის ფქვილით მომარაგებასთან ერთად, რამაც მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ადგილობრივი რესურსების ხვედრითი წილი, განზრახულია სახელმწიფო დაწესებულებების, სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების გათბობით უზრუნველყოფა. რაიონის სატყეო მეურნეობამ ქალაქის სკოლებსა და ბაგა-ბაღებში უკვე შეიტანა საკმაო რაოდენობის შეშა. მოსახლეობისთვის გამოყოფილია ტყეკაფები. ახლა, როგორც კი მოსავალს დავაბინავებთ, სატყეო მეურნეობის მუშაკებთან ერთად ამ საქმეში ჩაებმებიან სახელმწიფო მეურნეობების, დაწესებულებების ხელმძღვანელები, რათა გათბობის საკითხი მთლიანად მოგვარდეს. იმის იმედიც გვაქვს, რომ გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდება რესპუბლიკაში თანდათან გაუმჯობესდება და მუშაობის უკეთესი პირობები გვექნება.

— ფასების ლიბერალიზაცია, მკაცრი ზამთარი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც დღეს სოციალურად დაუცველია. მხედველობაში მყავს ხელმოკლე ოჯახები, პენსიონერები, მარტოხელა დედები, უდედმამო ბავშვები. რა კეთდება რაიონში მათი დახმარების, ელემენტარული საარსებო პირობების შექმნისთვის?

— დღევანდელ პირობებში, კარგად იცით, ყველას უჭირს, მაგრამ განსაკუთრებით იმათ, ვინც თქვენ დაასახელეთ. ამასთან ერთად ასზე მეტი ლტოლვილიცა გვყავს შეხიზნული. ფასების ზრდის შედეგად ისინი მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ხაზით არ არსებობს დახმარების ისეთი მუდმივი წყარო, რომელიც ამ პრობლემას მოხსნიდა. დარჩა ერთადერთი: მათი საარსებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ისევ რაიონმა უნდა იზრუნოს. იმისათვის, რომ ამ კატეგორიის ხალხს სერიოზული დახმარება აღმოვუჩინოთ, უკვე შემუშავებული გვაქვს პროგრამა. წლევანდელი მოსავლიდან შექმნილია სპეციალური ფონდი. ამ ფონდში შეგროვდება ხორბალი, მეცხოველეობის პროდუქტები, ბოსტნეული და ხილი. უამისოდ შეუძლებლად მიგვაჩნია მათი უზრუნველყოფა, მით უმეტეს, რომ მოსალოდნელია მკაცრი ზამთარი.

— ბატონო გიორგი, თქვენ შეგიქმნიათ სახელმწიფო სექტორის ხარჯზე მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის სპეციალური რაიონული სასურსათო ფონდი. ეს მისასალმებელი საქმეა. საჭიროდ ხომ არ მიიჩნევდით, რომ ასეთი ფონდები შექმნილიყო აგრეთვე ადგილობრივი [illegible] ბის მიერ სოფლადაც, საკრებულოთა გამგეობებთან? ზოგიერთ მოქალაქეს რაიონში ჩამოსვლაც შეიძლება გაუჭირდეს, ადგილზე კი უკეთ მიხედავდნენ. თუ სასურსათო ფულადსაც მივუმატებდით, მაშინ ადგილებზე გვექნებოდა ფულად-სასურსათო ფონდები, რომლებიც თავს გაართმევდნენ არა მარტო ხელმოკლეთა სასურსათო უზრუნველყოფას, არამედ გაზის, ელექტროენერგიის, წყლის გადასახადების დაფარვასაც.

— ამის შესახებ რამდენჯერმე ვიმსჯელეთ. რაიონული სასურსათო ფონდის შექმნით პირველი ნაბიჯი გადავდგით. ვფიქრობთ, ეს საკითხი კიდევ კარგად ავწონ-დავწონოთ და ფულად-სასურსათო ფონდები შევქმნათ რაიონის დიდ სოფლებში მატანში, ზემო და ქვემო ალვანში, პანკისში.

— ეს წამოწყება ვფიქრობთ, ფართო განზოგადებას იმსახურებს.

— განზოგადება, ალბათ, ჯერ ადრეა, მაგრამ თუ ვინმე მოგვბაძავს, არაფერს წააგებს. თუ გაამართლებს და, მჯერა, რომ გაამართლებს, მობრძანდით, განაზოგადეთ, მით უმეტეს თქვენს რედაქციასაც ჰქონია სოფლად ფულად-სასურსათო ფონდების შექმნის იდეა.

— ახმეტა მევენახეობასთან ერთად მეცხოველეობის რაიონიც არის. პირუტყვის გამოზამთრებაც დიდი პრობლემაა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ. ხომ არ უჭირთ ჩვენს ხელოვან თუშ მეცხვარეებს?

— რაიონის სახელმწიფო მეურნეობების პირუტყვი და მათ შორის ცხვარი, შეიძლება თამამად ითქვას, მთლიანად უზრუნველყოფილია საზამთრო საძოვრებით. თუშები ტრადიციულად შირაქში აზამთრებენ ცხვარს. ასევე იქნება წლეულსაც და მომავალშიც.

— მთელ ჩვენს საუბარში და, კერძოდ, თქვენს პასუხებში ნათლად გამოსჭვიოდა აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს არ უნდა შევყუროთ ხელებში, უნდა გავაცხოველოთ ადგილებზე ორგანიზატორული მუშაობა, უკეთ ავამოქმედოთ ადგილობრივი რეზერვები და საკუთარი უნარის, შესაძლებლობების გათვალისწინებით მშობელ ხალხთან ერთად ვწიოთ ის მძიმე, ისტორიული ჯაპანი, რაც დრომ მოიტანა და ბედმა გვარგუნა. ალბათ, ამ პროცესების სწორად განვითარებას ისახავს მიზნად ამას წინათ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული „საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის" პროექტი, რომელიც შეიმუშავა და საჯარო განხილვისთვის გამოიტანა საქართველოს პარლამენტის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიამ. როგორია თქვენი აზრი ამ პროექტის შესახებ, დაეხმარება ადგილობრივი თვითმმართველობის განმტკიცებაში?

— ყველაზე მეტი, რაც დღეს ჩვენს სახელმწიფოს აკლია, ეს არის ჭეშმარიტი კანონმდებლობა, კანონის უზენაესობა. უამისოდ შეუძლებელია ქვეყნის მართვაც და ნამდვილი სტაბილიზაციის მიღწევაც. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის გამოქვეყნებული პროექტი სერიოზულ განხილვას მოითხოვს. ამისათვის მოგვიწევს მოსახლეობასთან შეხვედრები, მისი აზრის მოსმენა და გაზიარება.

— პრინციპში ამ კანონის საბოლოო შემუშავება და მიღება ხომ სასარგებლოა?

— რასაკვირველია, თუ ის ბევრი სხვა კანონივით ქაღალდზე არ დარჩება...

რუსთაველის დღე მესხეთში

[illegible] რუსთაველის [illegible] კვლავ გაიმართა პოეზიის დღესასწაული, განახლდა ტრადიციული „შოთაობა"...

29 ოქტომბერს ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში შეიკრიბნენ პოეზიის ზეიმის მონაწილენი, რათა ერთხელ კიდევ ეცათ თაყვანი უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" ავტორისათვის. აქ ჩამოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, მეზობელი სომხეთიდან, რუსთავიდან სტუმრები გაემგზავრნენ ვარძიაში, სადაც ღია ცის ქვეშ მოწყობილი თეატრის სცენიდან მესხეთსა და სრულიად საქართველოს მოეფინა რუსთაველის უკვდავი აფორიზმები.

ხანგრძლივი, იძულებითი დუმილის შემდეგ განახლებული ტრადიციული პოეზიის დღესასწაული გახსნა სახელმწიფოს მეთაურის პირადმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა — სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის ზონაში ვალერი ბაქრაძემ. ზეიმის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ და ჩვენს სულიერ ცხოვრებაში რუსთაველის როლზე ისაუბრეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ, ასპინძის რაიონის გამგებელმა გიორგი წითლანაძემ, პარლამენტის წევრმა ივლიანე ხაინდრავამ, პარლამენტარმა, პოეტმა გენო კალანდიამ, მესხეთის სახალხო მთქმელებმა.

ზეიმი დაამშვენა მესხეთის მხატვრული კოლექტივების გამოსვლებმა. მესხეთის მიწაზე გამართული რუსთაველის ლექსის ზეიმი სრულიად საქართველოს დღესასწაული გახდა. მასში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთათვის ერთნაირად ძვირფასია რუსთაველის უკვდავი სიტყვა.

დაბოლოს: ეს შესანიშნავი ღონისძიება დააფინანსა კორპორაცია „ლეგია და კომპანიამ", რომლის პრეზიდენტია ამ კუთხის მკვიდრი გოდერძი ველიჯანაშვილი.

ლამარა ცუცქირიძე,
საქინფორმის კორ.

„წამით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე"

ჟურნალი „დილა"!

ოცნებით თვალწინ იშლება ჩვენი ბავშვობის მოგონებათა ფერადოვანი სურათები, სითბო და სიკეთე. რაც მას ჩვენთვის გადმოუცია ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ შექმნილი საბავშვო ლიტერატურის შედევრების პროპაგანდით.

არაერთი თაობა აღზრდილა ჟურნალში დასტამბული, სიყვარულითა და სიკეთით გამთბარი ლექსებითა და მოთხრობებით, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდი იაკობის, შიო მღვიმელის, იოსებ გრიშაშვილისა და სხვათა მაღალმა ჰუმანურმა შემოქმედებამ.

ჟურნალის მეშვეობით ეზიარა ქართველი და ქართულენოვანი მკითხველი ქართული ხალხური ზღაპრების უმდიდრეს პალიტრას.

მადლიერი ქართველი მკითხველი მუდამ დიდი პატივისცემით მოიხსენიებს ჟურნალის შემქმნელთა თაობებს. მუხლჩაუხრელი, დაუღალავი შრომის შედეგად დღესაც ცოცხლობს ქართული ეროვნული სულიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბურჯი, ჟურნალი „დილა".

28 ოქტომბერს ჟურნალისტთა სახლში აღინიშნა ჟურნალ „დილის" ოთხმოცდაათი წლისთავი. ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საპატიო სიგელები და ფულადი ჯილდო გადასცა ჟურნალის თანამშრომლებს. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ჟურნალი განიცდის მძიმე ფინანსურ გაჭირვებას, რის გამოც ერთი წლის მანძილზე იგი არ გამოიცემოდა.

შეკრებაზე გადაწყდა, რომ დახმარებისათვის მიმართონ საზოგადოებრიობას.

ბესარიონ ჟორჟენაძის საზოგადოების განცხადება

ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების წინაშე დამდგარმა პრობლემებმა აუცილებელი გახადა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის" შემუშავება (დამტკიცდა 1989 წელს).

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა" დავიწყებას მისცა. ვაცხადებთ სრული პასუხისმგებლობით: ასეთი უგულ[illegible] სყურო, უპატივცემულო, [illegible] დელი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, ამჟამად რომ არის, ბოლო ათწლეულებში არ ყოფილა. [illegible] კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ქართული ლიტერატურული ენის ნორმების [illegible] საში, რადიოსა თუ ტელევიზიაში, ნებისმიერ დაწესებულებაში; სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სასწავლებლებში შესუსტდა, საერთოდ უგულებელყოფილია ქართული ენის სწავლება. [illegible] მცდელობა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩათვლით შეიცვალოს, ანდა საერთოდ უგულებელყოფილ იქნეს.

მივმართავთ ყველას, ვისაც შეეხება:

დაუყოვნებლივ ამოქმედდეს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა". წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველდღიურად შეიძლება დაზარალდეს ქართული ენა, წლები დასჭირდება წამხდარის მოსწორებას.

ბესარიონ ჟორჟენაძის საზოგადოების გამგეობა

ეკონომიკური რეფორმის ბედი პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული

ასე სწამს სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს ვახტანგ ბეგიაშვილს, რომელსაც ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა

აქტუალური ინტერვიუ

— ბატონო ვახტანგ, საქართველო უკვე მერამდენე წელიწადია ეძიებს ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას. ქვეყანა თითქოსდა მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდა, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ბიზნესიდან ხელისუფლებაში მოსული კაცის პოზიციიდან როგორ შეაფასებდით შექმნილ ვითარებას, არის კი უკეთესი მომავლის პერსპექტივა?

— ყოველ მოვლენასა და საგანს აქვს დასაწყისი და დასასრული. ეს ბანალური და საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. ამ კონტექსტში ეკონომიკური დაქვეითება, რომელმაც ჩვენში ქრონიკული და გაჭიანურებული ხასიათი მიიღო, ისტორიულად ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობით განპირობებული და მას მამა[illegible] ვერ აიცილებდა თავიდან. ჩვენ აღმოვჩნდით ერთი დიდი ისტორიული პროცესის ბოლოს, რომელიც 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს და მატიანეში „დიდი კომუნისტური ექსპერიმენტის" სახელით არის ცნობილი.

ჩვენი ცხოვრების საბჭოური ციკლი დამთავრდა და მას თან ახლავს ნგრევა, განადგურება, ქაოსი და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს მოვლენების მხოლოდ გარეგნული მხარეა, რომელიც სინამდვილეში ცხოვრებაში მიმდინარე რევოლუციურ ცვლილებებს მიუთითებს. მათი მიზანი, შეიძლება ითქვას, თვითმიზანიც, გლობალური თვალსაზრისით საზოგადოებრივი განვითარების სწორ გზისადმი მიბრუნებაა.

ალბათ, არ უნდა მტკიცება იმ [illegible] ფაქტს, რომ დაწყებული მოძრაობის ტენდენცია კერძო საკუთრების დამკვიდრებაა. ისტორიულად აღმოვჩნდით იქ, სადაც ჩვენი პაპები შეჩერდნენ და, ცხადია, ძალიან გაგვიჭირდა, რადგან არ ვიცით როგორ, რა გზებით და საშუალებებით გავხდეთ მესაკუთრენი, მეწარმენი და საქმიანები.

მე, და ჩემი თაობის არაერთმა წარმომადგენელმა, ამ მიმართულებით მაშინვე გადავდგით ნაბიჯები, როგორც კი ამის საშუალება მოგვეცა, და გარკვეულ შედეგებსაც მივაღწიეთ, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული ცნობილი საშინაო და საგარეო მოვლენების ფონზე თითქმის შეუძლებელი გახდა საქმის კეთება. ამიტომ ჩემი თაობა პოლიტიკაში მოვიდა და თუ გაიხსენებთ, სწორედ ჩვენი ჩარევა წყვეტდა ბოლო წლების მოვლენების ბედს. შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი და საერთოდ მთელი ერის ბოლო წლების გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ შეცდომების წყება და არასწორი გზით სიარული იყო. თუმცა, გვაქვს თვითდაჯერებულობა ვამტკიცოთ, რომ ასეთ შეფასებას ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. უფრო მეტიც, შეიძლება იგი საერთოდ ახლოს არ იდგეს ჭეშმარიტებასთან.

რამდენიმე ხნის წინათ პროცესებს მეც, როგორც ბევრი ჩვენგანი, სუბიექტური და ემოციური კატეგორიებით განვიხილავდი, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნამ და პოლიტიკის სამზარეულოში უფრო ღრმად ჩახედვამ დამარწმუნა, რომ არც ისე მარტივია საქმის ვითარება. რეალურად ცხოვრებაში მიმდინარეობს უდიდესი გარდატეხა. ამ პერიოდში, ერთ თაობასა და [illegible] ძველის ადგილას სრულიად ახალი და განსხვავებული უნდა იშვას, რომელიც ძველის აბსოლუტურად საპირისპირო მოვლენაა. როგორი პერსპექტიულიც უნდა იყოს ახალი (კერძო საკუთრება), მას წარსულის ტრადიციების (საზოგადოებრივი საკუთრება) ჯოჯოხეთურ სიძნელეებთან შერკინება მოუწევს და ეს შეჯახება სამკვდრო-სასიცოცხლოა, რასაც თან ახლავს დანაკარგები, მსხვერპლი და აზრიანი თუ უაზრო სისხლისღვრა. ასე იყო ყველგან, სადაც კი ერთ საზოგადოებრივ წყობილებას მეორე ცვლიდა. ასე არის ჩვენთანაც და ამიტომაც ქვეყანა ნახანძრალ გემს ჰგავს. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაზე უარესი გავიარეთ და იმედი მაქვს, აღმშენებლობას ალტერნატივა არ გააჩნია.

დასკვნის სახით გალაკტიონის პერიფრაზს მოვიტანდი — ყველაფერი ძლიერ ცუდად არის, ყველაფერი ძლიერ კარგად არის. ცუდად არის იმიტომ, რომ ვერ ავიცილეთ თავიდან საბედისწერო შეცდომები, და კარგად იმიტომ, რომ ყველაზე უარესი დამთავრდა, ძველი დაინგრა, ქაოსმა თავისი თავი მოჭამა და დადგა ახლის შენების, ახლის დამკვიდრების ისტორიული ეტაპი. ვინც უახლესი წლების, გინდა თვეების ვითარებას დღევანდელს შეუდარებს, ადვილად დარწმუნდება, თუ რა ბევრი რამ გაკეთდა ქვეყანაში საზოგადოებრივი თანხმობისა და წესრიგის აღსადგენად. მთავარი დღეს ის არის, რომ ფსიქოლოგიური გარდატეხა მიღწეულია და ახალი სახელმწიფო ორგანიზმის ხერხემალი შექმნილია. ამიტომაც, დიდი სიძნელეებისა და პრობლემების მიუხედავად, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ.

— რას გულისხმობთ დიდ სიძნელეებსა და პრობლემებში, თქვენი აზრით, რა არის ჩვენი წინსვლის ხელშემშლელი მიზეზებიდან ყველაზე მთავარი?

— ამ კითხვაზე ჩვენში მოღვაწე ყველა პოლიტიკოსს თუ ეკონომისტს, სოციოლოგსა თუ პოლიტოლოგს და არა მარტო მათ, ლამის თითოეულ მოქალაქეს, თავისი განსაკუთრებული აზრი და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის გადარჩენის საკუთარი რეცეპტი აქვს. ერთ პერიოდში დიდი გულმოდგინებით ვკრებდი პრესიდან თუ ტელევიზიიდან სპეციალისტთა და ორატორთა ასეთ მოსაზრებებს და ბოლოს მივედი დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანის ნათქვამში იყო რაციონალური მარცვალი, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარი ერთიანობაში, რადგან იქნებ მართლაც ერთი ფილმის გროტესკული პერსონაჟისა არ იყოს, ათასის ტვინი და აზრი რომ შეაერთო, ვირის ტვინზე ნაკლები გამოვა.

ესეც, ეტყობა, ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც რატომღაც ივიწყებენ. კარგია და აუცილებელი სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, უცხოელ სპეციალისტთა მოწვევა, ეკონომისტთა, იურისტთა, სხვებისა და სხვების წინადადებებისა და მოსაზრებების შეკრება, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტია პოლიტიკური ნება, ანუ საჭიროა პოლიტიკური ლიდერი და პოლიტიკური ძალა, რომელიც პასუხისმგებლობას იკისრებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. საბედნიეროდ, შევარდნაძის სახით, საქართველოს მსოფლიო დონის პოლიტიკური ლიდერი ჰყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ხშირად მარტოა, დასაყრდენი, ძლიერი პოლიტიკური ძალა არ ჰყავს, რის გამოც უძლურია ნეგატიურ პროცესებზე რეალური ზეგავლენა მოახდინოს. პოლიტიკური დაქსაქსულობა თუ არ დაიძლია და პროცესებმა წესრიგის პარტია არ შექმნა, ძალზე გაჭირდება ჯანსაღი პროცესების განვითარება.

არანაკლებ დაბრკოლებად მესახება გამარტივებული სქემებით აზროვნების სენი. დღეს არავინ დავობს კერძო საკუთრების უპირატესობაზე. მაგრამ ჩვენში მისი დამკვიდრების ფორმა, საშუალებები და ხერხები შორს სცილდება ცივილიზებულს და ისინი ხშირად ველური კაპიტალიზმის თავდაპირველი დაგროვების ლამის შუასაუკუნებრივ ელფერს იძენს. საზოგადოება ერთბაშად ჩაება კონკურენციისა და შეჯიბრის სტიქიაში, მაგრამ გაუკვალავი გზებით სიარულმა, ზნეობრივი კატეგორიების სისუსტემ და საზოგადოებაში გამაერთიანებელი და შემკრები ძალის უქონლობამ თავისი ქნა. ყველამ ფულის კეთება დაიწყო. მაგრამ თუ რა გზით, რა ხერხებით, ბევრი არას დაგიდევს. არადა, ყოველგვარი ფულის კეთება არ არის ბიზნესი, პირიქით, ყოველგვარობა, ანუ ყველაფრის დაშვებულობა ანტიბიზნესია, რომელსაც არსაით არ მივყავართ.

მეჩვენება, რომ საზოგადოებამ მწარე სინამდვილის დაწოლით ეს უკვე გაიცნობიერა, რითაც შინაგანად მოემზადა კიდეც ეკონომიკური რეფორმისთვის.

— მაგრამ არის კი საქართველოს პოლიტიკური ელიტა მზად ამ რეფორმის განსახორციელებლად, ჰყავს კი მას ადამიანები, რომლებსაც ეკონომიკური რეფორმის პროგრამა და მისი განხორციელების უნარი აქვთ?

— ტერმინი — ეკონომიკური რეფორმა — მთლად ზუსტად არ მიმაჩნია. ლაპარაკია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეფორმაზე, რომლის გადამწყვეტი, მაგრამ არა ერთადერთი ნაწილია ეკონომიკური რეფორმა. მეორეც, ეკონომიკური რეფორმის მიზანი საზოგადოებრივი პროგრესია და არა უბრალოდ ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ამ თვალთახედვით, უნდა ეს თუ არა, და მოსწონს თუ არა მავანსა და მავანს, ნებისმიერი მოძრაობა ამ მიმართულებით არის პოლიტიკური ნაბიჯი და შესაბამისად, ყოველთვის ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფი ახორციელებს. საკითხავია, შეძლებს კი მმართველი პოლიტიკური გუნდი რეფორმატორ ეკონომისტთა შემოკრებას და საზოგადოებრივი პროცესების განვითარების კვალობაზე ცვლილებების შეტანას ტაქტიკასა და სტრატეგიაში?

სხვა მხრივ, საქართველოს არ აკლია სწავლული და პროფესიონალი ეკონომისტები, არც უცხოელი მრჩევლები, ექსპერტები და მათი რეკომენდაციები. მე უკვე გავეცანი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებსა და მის ბაზაზე მთავრობაში მომზადებული რეფორმის პროგრამას და შემიძლია ვთქვა, რომ რიგი სადავო საკითხების მიუხედავად, პროგრამა მზად არის და მისი განხორციელება არც ისე ურიგოდ მიმდინარეობს. მაგრამ, ვიმეორებ, ეკონომიკური რეფორმის ბედი პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს პარლამენტი რეფორმის საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფას. მთავრობა—რეფორმატორთა შემოკრებასა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, რეფორმისთვის აუცილებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის შექმნას და ა. შ.

ერთი სიტყვით, ეკონომიკური რეფორმა პოლ[illegible] რომ განეკუთვნება და შესაბამისად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

— კიდევ რა არსებით მომენტებს გამოყოფდით, რასაც შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს ჩვენს ხვალინდელ დღეზე?

— ჩვეული ტემპერამენტისა და ემოციების წყალობით ბევრი რამ უკვე გავანიავეთ და ბევრი შეცდომაც დავუშვით. ამისთვის დავისაჯეთ კიდეც. მაგრამ უკვე აღარ გვაქვს დასაკარგი დრო. იგი ამჯერად ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს და თუ ერთი ჩვენი დიდი წინაპრის სიტყვებით ვიტყვით, ჩამორჩენილებს ისტორიის ბედისწერა მარტო ცემას როდი გვა[illegible]რებს. საჭიროა რადიკალური [illegible]ების მიღება და საზოგადოებ[illegible] თავაშვებულობისა და თავგასულობის ალაგმვა. წესრიგი ეკონომიკური რეფორმის წარმატების შინაგანი წყაროა, რომელსაც მძლავრი საგარეო ფაქტორების ჰარმონიული შერწყმაც სჭირდება. ეს იქნება დსთ-თან და მსოფლიოს ქვეყნებთან ტრადიციული კავშირურთიერთობების აღდგენა, ინვესტიციების მოზიდვა, ერთობლივი პროექტების დამუშავება, მსოფლიო ბაზარში ჩაბმა და ა. შ.

ეკონომიკური რეფორმის ბედი არანაკლებ იქნება დამოკიდებული საზოგადოებრივ და სამოქალაქო მშვიდობაზე. ერთი მხრივ, ეს ეთნოკონფლიქტების კერების ჩაქრობას მოითხოვს, მეორე მხრივ — მძლავრი სოციალური დაცულობის პროგრამის შემუშავებას.

აქვე მინდა სოციალურ სფეროზე შევჩერდე. რეფორმა ხელისუფლებისგან არაპოპულარული ღონისძიებების განხორციელებას ითხოვს. საზოგადოებრივი აზრი უნდა ჩამოყალიბდეს იმ მიმართულებით, რომ შეუძლებელია ტრადიციულ გარემოში ცხოვრება და მთელ ხალხზე ზრუნვის სოციალისტური „ქოლგის" აღდგენა. რეფორმა ძალიან ბევრს ცუდ დღეში ჩააგდებს, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ არის. მთავრობას ერთადერთი ის ძალუძს, რომ სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენები შეიფაროს თავის კალთებქვეშ, ისიც მინიმალური მზრუნველობის ფარგლებში. სხვებმა კი საკუთარ თავს თვითონ უნდა უშველონ, მაგრამ ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთ, თუ ხელისუფლებამ მოქალაქეებს და, პირველ რიგში, ბიზნესმენებს არ შეუქმნა ბიზნესის კეთების, საკუთარი ნიჭის გაყიდვის, სახსრების დაბანდებისა და საქმეში ჩადების საშუალება. თუ პოლიტიკურმა „ლობიმ" ვერ შექმნა ზნეობრივი ბიზნესის კლიმატი, ანუ ისეთი ბიზნესის ატმოსფერო, სადაც მოგება რეალური საქმის კეთებით, წარმოებითა და კომერციით მიიღწევა, ქვეყანა მაფიებისა და კლანების სათარეშოდ იქცევა და პოლიტიკური ცხოვრებაც სავსე იქნება სისხლიანი ბატალიებითა და სასახლის გადატრიალებებით, ყველა მისი შედეგით. ასეთ შემთხვევაში ცივილიზებული და კარგი ცხოვრების იმედებს კარგა ხნით უნდა დავემშვიდობოთ.

მე, ისევე, როგორც ბევრი ჩემი ახლობელი და მეგობარი, არ ვაპირებ საქართველოდან წასვლას. მაგრამ არც ის მინდა, რომ ღარიბ და არეულ ქვეყანაში ვიცხოვრო. ამიტომაც ჩემ წილ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ქვეყანაში ცივილიზებული ბიზნესი, პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება დამკვიდრდეს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვიზიტი, რომლისგან ბევრს მოველით

გუშინ საქართველოში აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს-ბუტროს გალი. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ცხელ წერტილებში ბუტროს გალის ახლანდელი ვიზიტის მიზანია გაეცნოს შექმნილ სიტუაციას.

აზერბაიჯანში ბუტროს გალი შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰასან ჰასანოვს. განიხილეს მთიანი ყარაბაღის გამო აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს კონფლიქტი უკვე მეშვიდე წელიწადია გრძელდება და ჯერჯერობით გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ძალისხმევას მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია. ერთადერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელიც ბოლო თვეებია გრძელდება. არ იქნა და კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ვერ მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას. აზერბაიჯანი სამშვიდობო მოლაპარაკების პირობად მოითხოვს სომხეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას აზერბაიჯანის ტერიტორიიდან და ლტოლვილების დაბრუნებას. ხოლო შემდეგ მთიანი ყარაბაღის პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტას აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ფარგლებში.

სომხეთი მთიანი ყარაბაღის გამო კონფლიქტის გადასაწყვეტად მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვს ყოველგვარი წინასწარი პირობების დაუდებლად. შექმნილ ვითარებას ართულებს აგრეთვე დაპირისპირებულ მხარეთა გამიჯვნის ზონაში სამშვიდობო ძალების საკითხი. რუსეთს მიაჩნია, რომ აქ უნდა განლაგდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, მათ შორის რუსეთის სამხედრო კონტინგენტები. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ვენის თათბირზე მიიღოს გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის ორი ათასიანი კონტინგენტის შექმნისა და კონფლიქტის ზონაში განლაგების შესახებ, რომელშიც თითოეული ქვეყნის არაუმეტეს 600 ჯარისკაცი უნდა შევიდეს.

რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით, ბაქოში გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ მოუწოდა სომხეთს დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. თქვა, რომ გაერო კოორდინაციას გაუწევს კონფლიქტის მოგვარების „სხვადასხვა კონცეფციას".

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს გალის ვიზიტს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში პრაქტიკულად წყდება საკითხი თუ რა შედეგები მოაქვს და მომავალში მოიტანს გაეროს მხრივ რუსეთისათვის სამშვიდობო მისიის დაკისრება ყოფილი საბჭოთა კავშირის ცხელ წერტილებში გაეროს მეთვალყურეებთან თანამშრომლობითა და ზედამხედველობით. ფაქტი ფაქტად რჩება — გაეროს უშიშროების საბჭოს მრავალრიცხოვანი რეზოლუციებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში განლაგების მიუხედავად, ჯერჯერობით, ჭიანურდება ასობით ათასი დევნილის მშობლიურ ადგილებში დაბრუნების პროცესი აფხაზთა მხარის გაუმართლებელი პოზიციის გამო.

ბუტროს-ბუტროს გალი ცნობილი მეცნიერი და დიდად გამოცდილი დიპლომატია. სწორედ იგი იყო ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ სადათის იერუსალიმში 1977 წელს სენსაციური პირველი ვიზიტის ინიციატორი. სწორედ მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგად დაიდო ისტორიული კემპ-დევიდის ეგვიპტე-ისრაელის 1979 წლის შეთანხმებები, რომლებმაც არაბული სამყაროსაგან ისრაელის იზოლაციას მოუღო ბოლო, სწორედ ბუტროს-ბუტროს გალის გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე ყოფნას და მის ძალისხმევას მოჰყვა კიდევ ორი ისტორიული შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის ურთულესი და უმწვავესი პრობლემის მოგვარების გზაზე — ისრაელ-პალესტინისა და იორდანია-ისრაელის ხელშეკრულებები.

უნდა მოველოდეთ, რომ დიდად გამოცდილი დიპლომატის ორდღიანი ვიზიტი საქართველოში დააჩქარებს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის რეალისტურ გადაწყვეტას.

ირაკლი ჯაფარიძე.

დამთავრდა დსთ-ს პარლამენტთაშორისი ასამბლეა

სანკტ-პეტერბურგში დამთავრდა დსთ-ს პარლამენტთაშორისი ასამბლეის მორიგი სესია. ასამბლეამ მოიწონა თანამეგობრობის სახელმწიფოების მოქალაქეთა სოციალური უფლებების გარანტიები. ეს დოკუმენტი ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებსა და გაეროს სხვა დოკუმენტებს. ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებულია თანამეგობრობის წევრი ყველა სახელმწიფოს მოქალაქეთა სოციალური უფლებების თანასწორობა, მიუხედავად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა და ასაკისა, რელიგიური და პოლიტიკური რწმენისა.

ასამბლეამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების პარლამენტებს მოუწოდა, რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის შექმნის გადაწყვეტილების რატიფიკაცია. დასკვნით კომუნიკეში, რომელსაც ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვის. რუსეთისა და ტაჯიკეთის წარმომადგენლებმა აღნიშნულია, რომ ასამბლეის სესიამ ჩაიარა „თანხმობის, ურთიერთგაგებისა და აზრთა კონსტრუქციული გაზიარების ვითარებაში". როგორც პარლამენტთაშორისი ასამბლეის თავმჯდომარემ ვლადიმირ შუმეიკომ განაცხადა, შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს თექვსმეტი რთული საკითხი, მიაღწიეს სრულ ურთიერთგაგებას. პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა სხდომების შედეგებს, ასამბლეის წევრებმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნიეს თანამეგობრობის პარლამენტების მიერ ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება თანამეგობრობის ინტეგრაციული განვითარების დასაჩქარებლად. კმაყოფილებით იქნა აღნიშნული უკრაინის მისწრაფება გახდეს ასამბლეის სრულუფლებიანი წევრი, რომელშიც ამჟამად მეთვალყურის სტატუსით მონაწილეობს.

საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია კასაბლანკაში

მაროკოს მეფის ჰასან მეორის ინიციატივით კასაბლანკაში (მაროკო) მუშაობას იწყებს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც რეგიონის სახელმწიფოების გარდა მონაწილეობენ დასავლეთის წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დელეგაციები. კონფერენციაში მონაწილეობას იღებს რუსეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის მეთაურობით. კონფერენცია სამ დღეს გასტანს.

დღესასწაულები აშხაბადში

თურქმენეთის დედაქალაქში და ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ზეიმით აღინიშნა თურქმენეთის დამოუკიდებლობის მესამე წლისთავი. მონაწილეობდნენ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები თურქეთიდან, ირანიდან, პაკისტანიდან და აზერბაიჯანიდან. გაიმართა თურქმენეთიდან ირანისა და თურქეთის გავლით გაზსადენის მშენებლობის დაწყების სიმბოლური ცერემონია, რომელსაც უძღვებოდა თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურად ნიაზოვი. მონაწილეობდნენ თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, ირანის პრეზიდენტი ჰაშემი რაფსანჯანი, პაკისტანის პრემიერ-მინისტრი ბენაზირ ბჰუტო და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. გაიმართა საჩვენებელი ცხენოსნობა, დოღი. ნიაზოვმა სახელმწიფოსა და მთავრობათა მეთაურებს საჩუქრად მიართვა ახალთექური ჯიშის ოთხი ბედაური. დღესასწაულის დროს გაიმართა დამსწრე სახელმწიფო მოღვაწეთა ორმხრივი და ერთობლივი შეხვედრები.

ქართული კულტურის კერა საინგილოში

თეატრი

ლაგოდეხის შემდეგ საქართველოს საზღვარს რომ გასცდები, აზერბაიჯანი იწყება, მაგრამ ლანდშაფტი არ იცვლება და ბუნების გაგრძელებას პოულობს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების მთელ ტერიტორიაზე. ქართველთა კაკლების ზღაპრული [illegible] აღტაცებასა და სევდას იწვევს ერთსადაიმავე დროს. თითქოს ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ ლეგენდებში შევდივართ და [illegible]პირ ვრჩებით ჩვენი ბედოვლათობისა და უბედურების წინ. [illegible] გზა არ გშორდება ფიქრი, რატომ ვართ ასეთნი და ვინა ვართ ჩვენ, რომლებსაც თავისუფლების ყოველი სურვილი [illegible] ქვე[illegible]. იქნებ ეს მიჯაჭვული ამირანის მეტაფორული სახეა, როცა ყოველ გაბრძოლებას, თავი რომ აიშვას, უროს დარტყმა მოსდევს, რათა უფრო მაგრად მიეჯაჭვოს ადგილზე. ისტორიული რეალობისა და მითოსის ეს უცნაური შერწყმა ზოგჯერ პარადოქსალურ [illegible] იძენს და ამით უფრო [illegible] კიდეც ჩვენი ისტორიის ტრაგიზმს.

ერთი ასეთი ტრაგიკული ფურცელია საინგილოს ბედი. როგორც კი საზღვარს გასცდები, უმალ გრძნობთ მას, მაგრამ იქვე იზიარებთ გაღვიძებულ ეროვნულ [illegible]ობიერების საიდუმლოებას, ასე ძლიერად რომ განიცდება. აქ ზე[illegible] თავის ფესვებს მოუწყვეტელი სული და იგი საოცრად იგრძნობა თეატრში, სადაც თითქმის მთელი ალიბეგლოს მაყურებელი იყრის. როგორ არ გაგახსენდეთ დიდი ილიას სიტყვები — თეატრი ჩვენი ეროვნების საჯარო[illegible] ნიშანიაო.

ალიბეგლოს თეატრში მოდიან [illegible] და პატარები, ახალგაზრდები, — თითქმის ყველა ასაკის მაყურებელი. იგი აერთიანებს მთელ სოფელს, ყველა ისწრაფვის თეატრისაკენ, მაგრამ დარბაზი ვერ იტევს ყველას და ზოგი ზეზე დგანან. უკვე მერამდენედ [illegible] ერთსა და იმავე სპექტაკლზე. თითქმის ზეპირად იციან ყოველი სცენა, ყოველი გმირის მოქმედება. წინასწარ შემზადებულნი ხვდებიან კომიკურსა თუ დრამატულ სიტუაციებს და საოცარი ურთიერთობა მყარდება თეატრსა და მაყურებელს შორის. ეს არის ნამდვილი ზეიმი, სიხარულით სავსე წუთები, როცა ადამიანი ივიწყებს თავისი ცხოვრების ჭირ-ვარამს. ასეთი ჰარმონია მიიღწევა იქ, სადაც თეატრი ხალხის წიაღიდან იბადება და ხალხსავე უბრუნდება. ეს ნამდვილი ხალხური, სახალხო თეატრია ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით. აქ არის ფორმათა ელვარებაც, პლასტიკური გამომსახველობის პირობითობაც, ვოდევილური იმპროვიზაციების სიუხვეც და ფიქრიანი სჯა-ბაასიც, მაგრამ ყველაფერი გასაგებია და ახლობელი მაყურებლისათვის. ალიბეგლოში სამიაათასამდე კაცი ცხოვრობს, მაგრამ თეატრს არასოდეს აკლია მაყურებელი. ოღონდ ეს არის, თუ ბილეთის ფული არა აქვთ, მაინც შედიან სპექტაკლზე დასასწრებლად და ასეთები საკმაოდ ბევრი არიან. კაცმა რომ თქვას, ჩვენს გაჭირვებას რა ვუთხრათ თორემ, მაღალი ეროვნული ინტერესებით თუ ვიმსჯელებთ, ალიბეგლოს ქართულმა თეატრმა ოღონდ ასე გატაცებით იმოღვაწეოს, ოღონდ ასე შეასრულოს თავისი დიდი ეროვნული მისია, შეიძლება ისეთი დროც მოვიდეს, როცა საქართველოს სახელმწიფოს, ქართველ ბიზნესმენებს არც კი გაუჭირდეთ უფასო წარმოდგენების გამართვა. ახლა კი ალიბეგლოელებმა სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სიტყვები დამახვედრეს — რაც უნდა გაგვიჭირდეს, საინგილოში ქართული თეატრი უნდა შევინახოთო. ამ რწმენითა და იმედით მუშაობს ურთულეს პირობებში ალიბეგლოს თეატრი თავისი ნამდვილი ლიდერის ანზორ დოლენჯაშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აქტიური მატერიალური და მორალური სტიმულირების გარეშე შეუძლებელი გახდება ასეთი გამორჩეული მნიშვნელობის, უაღრესად სპეციფიკური მდგომარეობის თეატრის შენარჩუნება...

მდიდარი რეპერტუარი აქვს ალიბეგლოს თეატრს. აქ წლების მანძილზე თითქმის ყველა ჟანრი მოისინჯა. მაყურებელი შეეჩვია, მიიღო გარკვეული „სათეატრო წვრთნა". რამდენიმე სპექტაკლი თბილისშიაც წარმოადგინეს. უკანასკნელად საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სასწავლო თეატრში უჩვენეს მალიაგინის „მამა არსენი", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს იყო რეჟისორის ერთგვარი ანგარიში თავისი მშობლიური ინსტიტუტის წინაშე, სადაც იგი წავიდა საინგილოში ჯერ ისევ მეოთხე კურსის სტუდენტი. წარმოდგენაში გამოჩნდა ხალასი რეჟისორული აზროვნება, სპექტაკლის მთლიანობაში გააზრებისა და მსახიობებთან მუშაობის უნარი. რეჟისორი კარგად გრძნობს ფორმას, რიტმს, ხასიათების თავისებურებას და ქმნის ერთ მთლიან მხატვრულ სინამდვილეს, რომელმაც პროფესიონალთა და ფართო მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. წარმოდგენა ტელევიზიითაც გადაიცა. საგასტროლო თუ გასვლითმა წარმოდგენამ თბილისში, ისიც ნათელყო, რომ ქართველები საქართველოს საზღვრებს გადაღმაც ქმნიან სულიერ ფასეულობას.

ალიბეგლოს თეატრში რაიონული თუ სასოფლო თეატრის სარეპერტუარო ცხოვრების ზოგად ტრადიციებისაგან განსხვავებული, თითქოს პარადოქსული რამ ხდება. ასეთ თეატრებში სპექტაკლები ადრე კვდებიან... რაკი მაყურებლის საერთო კონტინგენტი მცირეა — სპექტაკლის სიცოცხლეც ხანმოკლეა. ასეა ტრადიციულად, ზოგადად. ალიბეგლოში კი თერთმეტი წლის წინათ დადგმული სპექტაკლი ვნახე. მაყურებლის ტევა არ იყო კულტურის სახლში.

ლაპარაკია დ. აწყურელის ვოდევილზე „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი", რომელიც „ბერბიჭების" სახელწოდებით იდგმება. ხუთი წლის წინათ დაიდგა ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა", ხოლო ორი წლის წინ რ. გაბრიაძის „უცხო ჩიტი". ასე რომ, ძველ სპექტაკლებს ისევ შეხვდა ძველი მაყურებელი, მაგრამ თეატრში „ძველი" პირობითი ცნებაა, რადგან შემოქმედებითი პროცესი, რომელიც მაყურებლის თვალწინ ხდება — მარად ახალია.

სამივე წარმოდგენა ანზორ დოლენჯაშვილმა დადგა. საერთოდაც იგია თეატრის ყველა სპექტაკლის დამდგმელი, მის მხრებზეა თეატრის ორგანიზაციული ცხოვრების მთელი სიმძიმეც. ა. დოლენჯაშვილში შერწყმულია შემოქმედისა და ორგანიზატორის ნიჭიერება. ამ მოუღლელი, მუდამ მხნე, მუდამ საქმიანი, მოფუსფუსე ხელოვანის რწმენა და ენთუზიაზმი ამხნევებს და ახალისებს მთელ თეატრს, რომელიც მას გვერდში უდგას, მისი ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა. ასეთი თანამოაზრეობა და გაერთიანება მარტო წმინდა ესთეტიკური პრინციპების გამო არ ხდება. აქ მნიშვნელოვან როლს ისიც ასრულებს, რომ მათ ესმით თავიანთი გაერთიანების ეროვნული მნიშვნელობა, იციან ერთმანეთის ფასი და აქვთ რწმენა იმისა, რომ **ემსახურებიან, არა მარტო ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების მაყურებელს, არამედ საქართველოს უზენაეს ეროვნულ იდეალებსაც.** ამიტომ თეატრის ყოველი მსახიობი, ყოველი ტექნიკური მუშაკი იმსახურებს პატივისცემას. როცა ამ დღეებში წარმოდგენილი სამი სპექტაკლის მონაწილეებს ეცნობით, ხშირად მეორდება მათი გვარები. ისინი ცოტანი არიან, ასე გაბედულად რომ ეჭიდებიან დიდ საქმეს. სამივე წარმოდგენაში სხვადასხვა როლებს ანსახიერებდნენ: ვ. მამულაშვილი, ბ. ჭაჭაშვილი, მ. სარდალაშვილი, ო. ანდრიაშვილი, ბ. შიოშვილი, გ. შიოშვილი, ლ. ანდრიაშვილი, ლ. შიოშვილი, შ. ემრაშვილი, ლ. შიოშვილი, ნ. გოჯიაშვილი, კ. ბარიხაშვილი სპექტაკლებში მონაწილეობს როგორც მსახიობი ანზორ დოლენჯაშვილიც. მსახიობთა გარდა, წარმოდგენების შექმნაში მონაწილეობენ მხატვარი მ. ბობოხიძე, რადისტი ლ. შიოშვილი, ლოტბარი ც. თოფილაშვილი, გამნათებელი ფ. შიოშვილი, „საბრალდებო დასკვნის" რეჟისორის თანაშემწე კ. ბარიხაშვილი. აი ამ მონაწილეთა ძალისხმევით შეიქმნა სამივე წარმოდგენა, თეატრის ყველა სპექტაკლის რეჟისორია ა. დოლენჯაშვილი.

ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა" მწერლის დაბადების 60 წლისთავს მიეძღვნა. ა. დოლენჯაშვილი სპექტაკლში გოგოლაძის როლს ასრულებს. მთლიანდება მსახიობისა და რეჟისორის ჩანაფიქრი, წარმოდგენის რიტმი, მისი შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობილება, მკაფიო ხასიათები ქმნიან ერთიანსა და მთლიანს, მხატვრულად კარგად ორგანიზებულ წარმოდგენას, სადაც გამორჩეული არტისტიზმითა და სიმართლით ვლინდება გოგოლაძის სახე. მსახიობების აქცენტი გადატანილია ხასიათების შექმნაზე. ცდილობენ გმირებს შეუნარჩუნონ ინდივიდუალობა და ზუსტად მოძებნონ ხასიათთა ნიშან-თვისება. იგრძნობა მწერლის სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, ზომიერება კომედიური სიტუაციების გამოხატვაში. ფსიქოლოგიურად ზუსტად ენაცვლება დრამატული და კომედიური. როცა გულოიანი (გ. შიოშვილი) სცენურ იუმორს ავლენს და მაყურებელი უმალ რეაგირებს. ბუნებრივად ხდება დრამატულ სიტუაციაზე სხვა გმირთა გადასვლა. განწყობილებათა კონტრასტების მონაცვლეობის პროცესი ბუნებრივია, რადგან მათ სიმართლე უდევთ საფუძვლად. ბ. ჭაჭაშვილის დევდარიანის ლექსის კითხვა ნათია გოჯიაშვილის, ნუნუ ექთანის წინაშე, ა. დოლენჯაშვილის გოგოლაძის მონოლოგი, თუ ვალიკო მამულაშვილის გოგოლის გონებამახვილობა, მ. სარდალაშვილის სარალიძის შინაგანი დრამატიზმით სავსე აღსარება, შ. ემრაშვილის, ჰეიშვილის გულუბრყვილო ექსცენტრული მდგომარეობა, ლ. შიოშვილის გმირის — ზაზა ნაკაშიძის ჭაბუკური გულწრფელობა და სულიერი მღელვარება, მისი დედის ოფელია ანდრიაშვილის ტკივილიანი, მაგრამ თავშეკავებული სცენები, ლ. შიოშვილის მოშიაშვილის იუმორით შეფერილი წამოძახილები, თუ ლ. შიოშვილის ზედამხედველის სახე, — ყველაფერი რაც მათ მიერ არის შექმნილი, რეალისტური სიმართლით არის გაცოცხლებული. მაყურებელი ხედავს, რომ მას არავინ არ ატყუებს, სახეები არ შორდებიან სიმართლეს, ამიტომ სჯერა მსახიობებისა. გულწრფელ შესრულებას მაყურებელთა ასევე გულწრფელი ოვაცია აჯილდოებს და ეს არის ის ძალა, ენერგიისა და ხალისს რომ მატებს თეატრს.

სტილისტიკის თვალსაზრისით ბევრი აქვთ საერთო რ. გაბრიაძის „უცხო ჩიტსა" და დ. აწყურელის „ბერბიჭას", თუმცა სულ განსხვავებულია ნაწარმოებთა მხატვრული დონეც და შინაარსიც, მაგრამ მათ აერთიანებთ დამდგმელისა და შემსრულებელთა მისწრაფება — შექმნან ზეიმური, ფორმის ელვარებითა და იმპროვიზაციული გონებამახვილობით სავსე წარმოდგენები. რ. გაბრიაძის „უცხო ჩიტი" პლასტიკურად უფრო ხაზგასმულია და აქ ბევრი რამ სწორედ პლასტიკურ გადაწყვეტაზეა გააზრებული. პანტომიმის ჟესტებისა და სხვა პლასტიკურ ფორმათა გამოყენებით მიღწეულია აზრის მოქმედებაში გამოხატვის ეფექტი. აქ იუმორი ერთნაირი ძალით ვლინდება სიტყვაშიც და ქცევაშიც, „უცხო ჩიტი" და „ბერბიჭა" წარმოადგენს თეატრის რეპერტუარის კომედიურ ჟანრს, რომელიც ბუნებრივად თავსდება „მამა არსენისა" და „საბრალდებო დასკვნის" გვერდით. ისინი შეადგენენ დღევანდელი თეატრის აფიშას. ხშირად იტყვიან ხოლმე, მაყურებლისათვის კომედიური უფრო ახლოს არის, თითქოს უფრო დემოკრატიული ჟანრია და იქნებ არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები სწორედ კომედიებით დაიწყო (1850, 1879), მაგრამ ალიბეგლოს თეატრის მაყურებელი ასევე დიდი სიხარულით ხვდება დრამატულ ჟანრის სპექტაკლებსაც და ესეც იმის ნიშანია, რომ თეატრმა თავისი მაყურებელი აღზარდა, გააფართოვა მისი ესთეტიკური ინტერესების სფერო.

ერთ დღეში, ალიბეგლოსა და კახში მოუხდათ ორი სპექტაკლის („ბერბიჭა", „საბრალდებო დასკვნა") თამაში თითქმის ერთსა და იმავე მსახიობებს. როცა ხუთ საათზე ალიბეგლოში წარმოდგენა დამთავრდა, თითქმის დროც აღარ იყო დასვენებისათვის. მალე თეატრი კახში გაემგზავრა. „ბერბიჭას" როლების შემსრულებლებს ვ. მამულაშვილს (სულიკო), გ. შიოშვილს (ილიკო), ო. ანდრიაშვილს (ოლიკო), ბ. ჭაჭაშვილს (სოსიკო) და ნ. გოჯიაშვილს (თამრიკო), მართლაცდა დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ სულმოუთქმელი კომედიური სპექტაკლის შემდეგ, წარმატებით გამოსულიყვნენ ახალ წარმოდგენაში, მაგრამ ისინი უკვე შეეჩვივნენ თეატრის ცხოვრების ასეთ რიტმს!..

საინგილოში ქართული კულტურის საიმედო კერაა. ჰერეთის მხარის თეატრი ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს. თეატრის წინ მისი ბიუსტი დგას. ანზორ დოლენჯაშვილი—ეს ახალგაზრდა ხელოვანი, რომელმაც უკვე ბევრის გაკეთება მოასწრო და ბევრი ტკივილი და გაჭირვება განიცადა — ავტორი იყო ილიაობის გრანდიოზული დღეებისაც, რომელიც აქ იმართებოდა. ასე ბევრის გაკეთება შეუძლია ერთ კაცს, როცა საქმით არის პატრიოტი, როცა გულანთებული იღწვის საქვეყნო საქმისათვის, მას გვერდში უდგას მთელი საინგილოს ქართველობა, სოფელი ალიბეგლო და უპირველესად თეატრის ყოველი წევრი. ამ მამულიშვილებს მათი სათაყვანებელი ილიას სიტყვებითვე უნდა ვუთხრა: „იმხნევეთ და იძლიერეთ!"

ვასილ კიკნაძე.

სარედაქციო ფოსტიდან

პროვოკაციული ლაშქრობა, რომელიც მხოლოდ აზარალებს საერთო საქმეს

თქვენი გაზეთის 15 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო ორი საკმაოდ ავტორიტეტული პარტიის —საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადებები. ისინი ერთსულოვნად იწონებენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მაფიისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაჩაღებული ფართომასშტაბიანი ბრძოლის მეორე ეტაპს. ამასთან, განცხადებაში დაგმობილია ყველა ისინი, რომლებიც სათავეში უდგანან ბატონ შოთა კვირაიას წინააღმდეგ პროვოკაციულ ლაშქრობას და აგროვებენ ხელმოწერებს თანამდებობიდან მისი გადაყენების მოთხოვნით.

ბატონ შოთა კვირაიას წინააღმდეგ ბრძოლა ახალი ამბავი როდია. მის შესახებ ბევრი ყალბი მასალა შეადგინეს ჯერ კიდევ მინისტრად მის დამტკიცებამდე. „პატივი" ასეთი მასალების გამოვლენისა, ეკუთვნის პოლიციის ერთ-ერთ ყოფილ საკმაოდ მაღალი რანგის ხელმძღვანელს.

არანაკლებ მძიმე და ამასთან ფრიად შეურაცხმყოფელი იყო ამ ცოტა ხნის წინათ პარლამენტის წევრის, ცნობილი ჟურნალისტის მიერ ეთერიდან, საქვეყნოდ „უნიათობის" დაბრალება ბატონ შოთა კვირაიასთვის (ეს საკუთარი ფანტაზიის წინააღმდეგ ბრძოლას უფრო მოგვაგონებს), რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის კრიმინალურ-მაფიური ძალების წინააღმდეგ.

ამგვარი და მსგავსი მონაგონი ბრალდებების მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წარდგინებით, ბატონი შოთა კვირაია პარლამენტმა ერთსულოვნად დაამტკიცა თანამდებობაზე. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მან ყოველმხრივ გაამართლა ნდობა. საგმირო საქმეებით ცხადყო, რომ არის ნამდვილი პროფესიონალი, პატიოსანი, პრინციპული, სწორი პოლიტიკური რწმენისა და მიმართულების მუშაკი. მისი ხელმძღვანელობით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოკლე დროში გააერთიანა და დარაზმა პირადი შემადგენლობა. სამინისტრომ ძირითადად შესძლო გაეწმინდა თავისი აპარატი მერყევი, არასაიმედო ადამიანებისაგან, ფართო ფრონტით გააჩაღებინა ბრძოლა ანტიეროვნული ძალების წინააღმდეგ. ყოველივე ამის დაუნახაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ განგებ დაიბრმავებს კაცი თვალს. ასეთ „ბრმათა" რაოდენობა კი, სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ ბევრია.

ბრძოლა ბატონ შოთა კვირაიას, უფრო მეტიც, მთლიანად რესპუბლიკის პოლიციის მრავალათასიანი არმიის წინააღმდეგ, დღესაც გრძელდება. ებრძვიან მაფიურ-კრიმინალური კლანები. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს მოწინააღმდეგე ძალები არც რაოდენობრივად და არც შეიარაღებით, ჯერჯერობით, თითქმის არ ჩამოუვარდებიან რესპუბლიკის პოლიციის ძალებს.

მაგრამ განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ პოლიციას ხშირად ზურგიდანაც უშენენ ტყვიას. ესენი უკვე ეგრეთწოდებული „თავისიანები" არიან, იმათი რიგებიდან, ვინც თავის დროზე წურბელასავით მიეკვრნენ რესპუბლიკის ბანკს და აქტიურად მონაწილეობდნენ მის გაძარცვაში. დასამალი არ არის, რომ ამ ოპერაციების ბევრმა მონაწილემ გაცილებით მეტი ნადავლი მიიღო, ვიდრე ყოფილი ხელისუფლების რომელიმე მაღალი რანგის მოღვაწემ ან მოღვაწეთა რამდენიმე ათეულმაც კი.

ეგრეთ წოდებული „თავისიანების" დიდი ნაწილი, სამაგიეროს მიზღვის შიშით, ბატონ შოთა კვირაიას წინააღმდეგ ბრძოლაში მთლიანად და სავსებით მაფიურ-კრიმინალური ძალების მხარეზე დგას. ისინი, ეს გაერთიანებული ძალები, პირველ რიგში, განსაკუთრებით დაინტერესებული არიან, რომ შექმნან ნაპრალი მინისტრსა და სამინისტროს აპარატს შორის, სახელი გაუტეხონ სამინისტროს. მაგრამ ძალიან ვეჭვობ, რომ ჩვენი სახელოვანი პოლიციელები და მათი მეთაურები, რომლებმაც თავი ისახელეს თავგანწირული საქმეებით, წამოეგონ ერის შინაგანი აფეთქებით დაინტერესებულთა ანკესზე.

ასე რომ, ძალები, რომელთა წინააღმდეგ დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლა უხდება ქართულ პოლიციას, საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ძლიერიც. ამიტომ ერის ბედით დაინტერესებული ყოველი ქართველი ვალდებულია უყოყმანოდ გვერდში ამოუდგეს, მხარი დაუჭიროს და სითბო არ მოაკლოს თავიანთი შვილებისაგან შედგენილ ქართულ პოლიციას, მის ღირსეულ ხელმძღვანელს — ბატონ შოთა კვირაიას. სწორედ ამას მოუწოდებდნენ თქვენი გაზეთის 15 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებებში ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები, ამ მოწოდებას მთელი სულითა და გულით ვიწონებ და მივესალმები. ამასთან, ჩემი აზრით, ურიგო არ იქნებოდა სხვა პარტიებმა და კავშირებმაც, პირველ რიგში, მოქალაქეთა კავშირმა და მწვანეებმა, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ბატონ შოთა კვირაიასა და მთელი შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ.

გრიგოლ ჟვანია,
პროფესორი

ინფორმაცია

მსახიობის უკვდავსაყოფად

თბილისის მერიამ მიიღო მხედველობაში მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება „დოდო აბაშიძის დარბაზის" გამგეობის (თავმჯდომარე გ. ლორთქიფანიძე) მომართვა და თბილისის მელიქიშვილისა და ჯანაშიას ქუჩების კუთხეში მდებარე სკვერს მიენიჭა გამოჩენილი ქართველი მსახიობის დოდო აბაშიძის სახელი. ამასთან, თბილისის მერიის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარ სამმართველოს დაევალა „თბილგამწვანების" სამმართველოსთან ერთად შეისწავლოს სკვერში დოდო აბაშიძის დარბაზისათვის შენობის აგების შესაძლებლობა.

[illegible]

თბილისი. რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოსამართლეთა გარკვეულ ნაწილში შეინიშნება ლოიალობა მსჯავრდადებულთა მიმართ. მარტო 1994 წლის იანვარ-სექტემბერში ყაჩაღობისათვის მსჯავრდადებულთა 50 პროცენტს მიესაჯა დანაშაულისათვის განკუთვნილი სასჯელის მინიმუმი. ბადრაგის მიზეზით ჩაიშალა 1200-მდე სასამართლო პროცესი. პროცესები ხშირად იშლება მოსამართლეთა არაორგანიზებულობის გამოც.

თბილისი. ავარიულ მდგომარეობაშია თბილისის სასამართლოს შენობა. მასში ყოფნა სიცოცხლისათვის საშიში გახდა. სასამართლოს ხელმძღვანელობამ იუსტიციის სამინისტროს მიმართა, რათა მოგვარდეს ეს პრობლემა და ქალაქის სასამართლოსათვის გამოიყოს შესაბამისი შენობა.

ბათუმი. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელების ინფორმაციით, ამჟამად რეგიონში ირიცხება 9 500 კომუნისტი, შექმნილია 185 პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ განაცხადა, რომ საქართველო ყველაფერს აკეთებს, რათა უსისხლოდ დაიბრუნოს აფხაზეთი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში საქართველოს საამისო სამხედრო ძალაც უნდა გააჩნდეს. როგორც ვ. ნადიბაიძემ თქვა, უპირველეს სამხედრო მოკავშირედ საქართველოს ხელმძღვანელობა რუსეთს ხედავს.

თბილისი. უახლოეს ხანში გადაწყდება ქართული არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგების პრობლემა, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებს მიეცემათ უფასო მგზავრობის უფლება. მალე დამთავრდება ერთიანი ქართული არმიის სამხედრო სამოსელის მოდელების დამუშავება.

თბილისი. გასული დღე-ღამის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 27 დანაშაული, აქედან გაიხსნა 18. მოხდა 4 მკვლელობა: გაიხსნა — 2. დაფიქსირდა მკვლელობის მცდელობის 1 ფაქტი (გახსნილია), სახელმწიფო ქონების ქურდობის 2 ფაქტი (ორივე გაუხსნელია), ქონების პირადი ქურდობის 6 ფაქტი (გაიხსნა 4), ძარცვა-ყაჩაღობის 1 ფაქტი (გახსნილია), ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების 4 ფაქტი (2 გაიხსნა), ავტოსაგზაო შემთხვევის 4 ფაქტი (ერთი სიკვდილით დამთავრდა).

ჩამოინგრა სახლი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 31 ოქტომბერს თბილისში, ალმაშენებლის გამზირზე № 96-ში ჩამოინგრა ორსართულიანი სახლის მეორე სართული, რის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო 6 ადამიანმა.

საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

გაქურდეს მუზეუმი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ქობულეთში გაქურდეს ბერძენიშვილის სახელობის კვლევით ინსტიტუტთან არსებული მუზეუმი.

ქურდებმა მოიპარეს თიხის ჭურჭელი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ხიდები

„...და ჩვენ გვინდა ქართველებთან ერთად ყოფნა"

გუშინ თბილისში გაიხსნა საბერძნეთის სავაჭრო და მწარმოებელი ფირმების საქონლის გამოფენა-გაყიდვა



ქალბატონი ეროფილი პანტელიდუ, რომელმაც გუშინ თბილისში აღნიშნა თავისი დაბადების დღე. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ულოცავს ქალბატონ ეროფილს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

1994 წლის 9-დან 19 სექტემბრამდე საბერძნეთის უმშვენიერესი ქალაქი სალონიკი მასპინძლობდა რიგით 59-ე საერთაშორისო გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილი იყო მწარმოებელი და სავაჭრო ფირმების, მსოფლიოს წამყვანი კომპანიების პროდუქცია. თავისი მნიშვნელობით ამ ერთ-ერთ უმსხვილეს გამოფენაში საქართველო წლეულს მეორედ მონაწილეობდა, იგი საქართველო-საბერძნეთის კულტურულ-კომერციულმა ცენტრმა „ელადამ" მოაწყო.

გამოფენაზე საქართველოს პავილიონითა და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნით დაინტერესება ნამდვილად საგულისხმო იყო. ეს ნათლად გამომჟღავნდა საქართველოს დღეებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, რომელიც საბერძნეთის ფირმა „იუნიტრეიდის" პრეზიდენტმა ქალბატონმა ეროფილი პანტელიდუმ მოაწყო და რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბიზნესმენები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.

SAKARTVELO

ΓΕΩΡΓΙΑ
ΔΙΕΘΝΕΙΣ ΕΠΑΦΕΣ
ΟΙΚΟΝΟΜΙΚΗ ΑΝΑΠΤΥΞΗ
ΕΛΛΑΔΑ
ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ
ΤΡΑΠΕΖΑ ΠΑΡΑΕΥΞΕΙΝΙΑΣ ΣΥΝΕΡΓΑΣΙΑΣ

საქართველო

ელადა

ΔΗΜΑΡΧΟΣ ΤΥΦΛΙΔΑΣ

ჟურნალ „საქართველოს" გარეკანი.

ვინ არის ქალბატონი ეროფილი პანტელიდუ? იგი ბერძენი ბიზნესმენია და რამდენიმე წელიწადია მოღვაწეობს საქართველოში, მიეკუთვნება იმ ბიზნესმენთა რიცხვს, რომლებიც არ ელოდებიან, როდის დაიხვეწება ჩვენს ქვეყანაში საკანონმდებლო სისტემა, როდის შეიქმნება ჩვენთან უცხოური ინვესტიციების დაბანდებისა და უცხოელ ბიზნესმენთათვის მუშაობის ხელსაყრელი პირობები.

მას კორპორაცია „საქართველოსთან" (პრეზიდენტი — გოდერძი ბუკია) ერთად დაფუძნებული აქვს „კულტურულ-კომერციული ცენტრი „ელადა" (გენერალური დირექტორი — თენგიზ აბულაძე). არის ავიაკომპანია „ორბის" წარმომადგენელი სალონიკში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქალბატონი ეროფილი გამოსცემს ორენოვან ჟურნალს „საქართველო". სხვათა შორის, შარშან „ელადამ" მოაწყო საქართველო-საბერძნეთის სავაჭრო და მწარმოებელ ფირმათა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა თბილისში, რომლის გახსნაზეც მოეწყო ჟურნალ „საქართველოს" პრეზენტაციაც.

„საქართველო — ეს სიტყვა ლამაზად იჟღერებს და საკმაოდ ძლიერად ჟღერს, — წერს ქალბატონი ეროფილი ჟურნალის მეორე ნომრის წინასიტყვაობაში — ...თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპზე საქართველო შეება საბერძნეთის ეტლში, რითაც გადარჩენის საშუალება მისცა საბერძნეთის კულტურას... ქართველი ხალხი ერთგულია თქმულებისა — ერთი ძველი მეგობარი მირჩევნია ათ ახლად შეძენილს"...

საქართველომ ჩაგვაბა თავის ისტორიაში, რომელიც ქართველი ერის ხასიათის სიმტკიცით სამომავლოდ ძალიან ბევრს გვპირდება.

და ჩვენ გვინდა ქართველებთან ერთად ყოფნა..."

სალონიკის გამოფენის დღეებში, საქართველოს უშუალო მასპინძელი, როგორც აღვნიშნეთ, ქალბატონი ეროფილი გახლდათ.

იგი გახლავთ უსაზღვრო პიროვნული ხიბლით სავსე პიროვნება. ამიტომაც მას საქართველოში უკვე მრავალი მეგობარი ჰყავს. პირად საუბრებში მან უამრავი საინტერესო რამ გვიამბო თავის პიროვნებასა და, საერთოდ, საბერძნეთის დღევანდელი ბიზნესის სამყაროს შესახებ.

— მე პროფესიით ექიმი ვარ, ქირურგი, განათლება გენუაში, იტალიაში მივიღე, მშობლები უბრალო ადამიანები იყვნენ, თამბაქო მოჰყავდათ სოფელში. ცხადია, მათ არ შეეძლოთ ჩემთვის ბიზნესის დასაწყებად საჭირო საწყისი კაპიტალის მოცემა.

საქართველოში ტურისტული ფირმის მეშვეობით მოვხვდი. უკვე მქონდა ურთიერთობა აეროფლოტთან, რომლის საშუალებითაც შემდგომ ავიაკომპანია „ორბსაც" დავუკავშირდი, ჩემი პირველი მეგობრები იყვნენ ბატონები ავთანდილ სხულუხია, თამაზ ჯამასაშვილი და ომარ სიამაშვილი.

ჩერნობილის ცნობილი მოვლენების შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებთან დიდი ხნით გაწყდა კავშირი. სხვათა შორის, ამან უზარმაზარი ფინანსური პრობლემების წინაშე დაგვაყენა. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩავერთე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან საქმიან ურთიერთობებში. ამ ნაბიჯს ბევრი ჩემი კოლეგა სიგიჟედ მითვლიდა. ყველაზე რთულ პირობებში მოვაწყე რამდენიმე გამოფენა, ტურნეებიც. რა თქმა უნდა, დიდი რისკის ფასად, მაგრამ რისკი და ბიზნესი ჩემი მოგონილი ხომ არ არის!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველი ადამიანი, ვინც გაბედა საბერძნეთთან შეხმიანება, ქალბატონი ირინა თევდორაძე გახლდათ. მე მან დამაკავშირა კორპორაცია „საქართველოს" პრეზიდენტთან ბატონ გოდერძი ბუკიასთან, რისთვისაც მისი უზომოდ მადლობელი ვარ.

არ შემიძლია არ ვთქვა, რა დიდი ბედნიერებაა გყავდეს ასეთი პარტნიორი კაცი, რომელსაც სიტყვა და საქმე ერთი აქვს. ბევრი ქართველი ბიზნესმენი შემხვედრია საქართველოს საზღვრებს გარეთ, რომლებიც მჯიღს იცემენ მკერდში, სინამდვილეში კი საქართველოსთვის კაპიკის სალირალი არაფერი გაუკეთებიათ. სამშობლოს სიყვარული ჩემთვის მხოლოდ სიტყვები არ არის. მესმის და ნაცნობია თქვენთან შექმნილი ურთულესი მდგომარეობა, საბერძნეთმაც ხომ უმძიმესი ხუნტა გადაიტანა. მე პატივს არ ვცემ იმ ხალხს, ვინც შორიდან უყურებს სამშობლოს გაჭირვებას, და როცა ქვეყანა ფეხზე დადგება, მხოლოდ მაშინ ჩამობრძანდება გაშლილ სუფრასთან და ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებსაც მოგვახსენებს. ბატონი ბუკია ნამდვილი ქართველია და მე მისი მადლობელი ვარ, რომ ასე ძალიან და საქმით უყვარს სამშობლო...

ქალბატონი ეროფილი რამდენიმე ფირმის მფლობელია. „იუნიტრეიდის" და მრავალი ერთობლივი საწარმოს გარდა მას აქვს საგამომცემლო ფირმა „ექსოდოს პუბლისიტას", ტურისტული ფირმა „კინისი", რომელსაც მთელ საბერძნეთში საკმაო ავტორიტეტი აქვს, ტურისტულ ფირმას მისი მეუღლე ხელმძღვანელობს, საგამომცემლოს კი მისი და — ქალბატონი სუზანა პანტელიდუ.

ჰყავს სამი შვილი — ერთი ვაჟი და ტყუპი ქალიშვილი.

პოლიტიკაში არ ერევა, მაგრამ თანაუგრძნობს საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას, თვლის რომ სამყარო, ბოლოს და ბოლოს, მაინც მივა კომუნიზმის იდეის აღიარებამდე.

— ძალიან განვიცადე სოციალიზმის დამარცხება. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ შევნატროდი თქვენს სისტემას, სწავლა საყოველთაო, მკურნალობა — უფასო, ყველასათვის. მართალია, მოგვიანებით ბევრი რამ შევიტყვე იმ სიმახინჯეების შესახებ, რომლებსაც თურმე საბჭოთა კომუნისტები სჩადიოდნენ, მაგრამ ამას მაინც არ შეუცვლია ჩემი რწმენა. მწამს და მჯერა, რომ კაცობრიობა მივა კომუნიზმამდე. ბოლოს და ბოლოს, მას დაახრჩობს ამ ფულის კეთების ციებცხელება. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია თქვენთვის რა მძიმე და მომქანცველია კაპიტალიზმი(?)..

31 ოქტომბერს, თავისი დაბადების დღეს, ქალბატონი ეროფილი თბილისში შეხვდება — „ელადა" კიდევ ერთ საინტერესო გამოფენა-გაყიდვას აწყობს ჩვენს დედაქალაქში: 30 ოქტომბრიდან ოთხ ნოემბრამდე „ექსპო ჯორჯიას" (ყოფილი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა) პავილიონები უმასპინძლებენ ქართველ დამთვალიერებლებს, ბერძენ სტუმრებსა და უცხოელ მეთვალყურეებს.

ამ გამოფენის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების გამო ქალბატონი ეროფილი ვერ ჩამობრძანდა სრულიად ქართველთა ფორუმზე, რომელზეც იგი მოწვეული იყო როგორც საპატიო სტუმარი და ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი. მისი აზრით, ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება დიდად წაადგება დღეს საქართველოს.

ფირმა „იუნიტრეიდის", კორპორაცია საქართველოს და კულტურულ-კომერციული ცენტრის „ელადას" საქმიანობამ ერთგვარად გაუსწრო ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური კავშირების აღდგენას. როგორც ცნობილია, საქართველოს დღემდე არა აქვს წარმომადგენლობა საბერძნეთში და ყოველგვარი ურთიერთობები ისევ მოსკოვის გავლით მყარდება.

სწორედ ამის გათვალისწინებით, საბერძნეთში ყოფნისას, ქალბატონმა პანტელიდუმ გვთხოვა გადაგვეცა საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძისთვის, რომ იგი მზად არის, თუ ქართული მხარე მოიწადინებს, საქართველოს წარმომადგენლობას უსასყიდლოდ დაუთმოს ოფისი ქალაქ სალონიკის ცენტრში. ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე ნოემბრის დამლევს ოფიციალური მიწვევით მიემგზავრება საბერძნეთში და იქ ჩვენი წარმომადგენლობის გახსნის შესახებ გადაჭრით მოგვიანებით გვიპასუხებს..

ჯერჯერობით კი ისეთი საქმიანი ადამიანების წყალობით, როგორებიც ბატონი გოდერძი ბუკია, ქალბატონი ეროფილი პანტელიდუ, ქალბატონი ირინე თევდორაძე და ბატონი თენგიზ აბულაძე ბრძანდებიან, საბერძნეთი კისრულობს ჩვენთან კულტურულ, საქმიან ურთიერთთანამშრომლობას. ამის დასტურია ქალბატონი ეროფილის განცხადებაც: — ჩვენ გვინდა ქართველებთან ერთად ყოფნა...

ანა მიქაძე-ჩიკვაიძე,
თბილისი-სალონიკი-თბილისი.



სურათზე: კორპორაცია „საქართველოს" პრეზიდენტი გოდერძი ბუკია (ცენტრში) რუსეთის ელჩთან ერთად საქართველოს პავილიონში გამოფენის დღეებში.

2+2=?

ანუ ეჰ, არითმეტიკავ, არითმეტიკავ!

ორ ვაშლს კიდევ ორი თუ მივუმატეთ, ოთხი გახდება. ეს ჭეშმარიტება ჩვენმა პატარებმაც კარგად იციან

გაიხსენეთ, აღფრთოვანების როგორი ნაპერწკალი იელვებს ხოლმე მათ თვალებში ოთხივე ვაშლს თვალწინ რომ ჩამოუწყობთ და სათითაოდ დავუთვლით.

ასე იცის რეალობამ, მაგრამ როცა ოთხის ნაცვლად ასიათასებზე და მილიონებზე გვაქვს საუბარი, მაშინ ვაშლებითა და ჩხირებით შორს ვერ წავალთ. აქ უფრო არითმეტიკაა საჭირო... არითმეტიკა, რომელშიც, სამწუხაროდ, ჩვენი ზოგიერთი ხელმძღვანელი ნამდვილად მოიკოჭლებს.

უფრო კონკრეტული რომ ვიყოთ, მოდით ერთი მტკივნეული საკითხი, ე. წ. ელემენტარული არითმეტიკული მოქმედების ფონზე განვიხილოთ, ჯერ ამოცანის მოცემულობას" შემოგთავაზებთ:

ბოლო ხანს მართლაც დიდი საქმე „გაკეთდა". მეზობელ თურქეთშიც გაიხსნა საქართველოს საკონსულოები. დაიწყო ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის უშუალო კონტაქტები მეზობელ ქვეყანასთან. ბევრ კარგ წამოწყებას, გარიგებას ეყრება საფუძველი. ერთი სიტყვით, თუ ორივე მხარე ხელს შეუწყობს ამ პროცესს, სიკეთეც არ დააყოვნებს.

მაგრამ ნახეთ, რა ხდება?

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წლევანდელი 9 მაისის № 273 დადგენილებით დაწესდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულ თურქეთის მოქალაქეებს ერთჯერადი ვიზის გაცემისათვის ვახდევინებთ 30, ხოლო მრავალჯერადი ვიზისათვის — 90 ამერიკულ დოლარს. ცხადია, ანალოგიური კონტრზომები მიიღო მეზობელი თურქეთის მთავრობამაც, რომელმაც ასეთივე გადასახადი დააწესა თურქეთში შემსვლელი საქართველოს მოქალაქეებისათვის.

საგულისხმოა, რომ 30 დოლარს თურქეთში შესვლაზე მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები იხდიან. სარფის კარიდან ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მიმავალი რუსეთის, ამიერკავკასიისა თუ შუა აზიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს კი 10 დოლარი შეაქვთ თურქეთის საბაჟო სამსახურში.

მე რომ ვამტკიცო, ახლა საქართველოში შემოსვლა 30 კი არა, მილიონ დოლარზე მეტიც უნდა ღირდეს, იმდენი რამ გვაქვს უცხოთათვის სანახავ-გასაშტერებელი-მეთქი, დამიჯერებს ვინმე?

ამ იდეის ავტორებს კი, ეტყობა დაუჯერეს.

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ამ დადგენილებით ერთბაშად „გაკეთება" მოვინდომეთ, გვეგონა მთელი თურქეთი ტანისამოსს შემოიხევდა ჩვენთან წაწვლის სურვილით, მაგრამ...

ახლა მოდით, ერთად მოვუძებნოთ ამოხსნა ამ არითმეტიკულ ამოცანას:

დადგენილება, რომელზეც მოგახსენებთ, ამა წლის 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში. ჩვენც პირველი სექტემბრიდან დავიწყოთ და 18 ოქტომბრის ჩათვლით ვნახოთ, როგორი შედეგები მივიღეთ.

აი, წინ მიდევს ბათუმის საბაჟოს კომპიუტერული სამსახურის ოფიციალური ცნობა, რომელშიც შავით თეთრზე წერია:

1 სექტემბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით თურქეთში გავიდა 27.499 საქართველოს მოქალაქე, რომლებმაც 824.970 (ერთი სიტყვით, მილიონამდე) დოლარი შემატა თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინას. თურქეთიდან საქართველოში კი (ამავე პერიოდში) შემოვიდა 1656 კაცი, რის შედეგადაც საქართველოს ბიუჯეტმა მიიღო 49.680 ამერიკული დოლარი.

ახლა, თავში რომ მოგახსენეთ, იმ ელემენტარულ არითმეტიკას დავუბრუნდეთ: 824.970—49.680 .= ?

ვთხოვ ეს ელემენტარული არითმეტიკული მოქმედება ჩვენი მინისტრთა კაბინეტის იმ სამსახურებმა დაასრულონ, ვინც თავის დროზე მოამზადა ეს დადგენილება აღნიშნული სამთავრობო გადაწყვეტილების მისაღებად.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ფაღავამ ამ საკითხზე ჩემს მსჯელობას რამდენიმე მეტად საგულისხმო ნიუანსი შემატა:

— ცხადია, — თქვა მან, — დაკვირვება, კომპლექსურად აღქმა და განსჯა სჭირდება ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ვიღებთ ამ საკითხზე. აი, მაგალითად, ისიც ვთქვათ: აქვე, სარფთან ახლომდებარე თურქეთის ტერიტორიიდან, ადრე ბევრი ჩვენი პირიქითელი თანამემამულე შემოდიოდა. იქვე საბაჟოზე იხდიდა 10 დოლარს და ეს იყო მთელი პროცედურა. ახლა ეს კაცი ტრაპიზონში მიდის ჩვენს საკონსულოში და იქ იხდის 30 დოლარს. წასვლა-მოსვლა 20 დოლარი მაინც უჯდება. მერე ჭამა-სმა... ერთი სიტყვით, საქართველოში გადმოსვლაში ჩვენს საზღვრისპირა თანამოძმეებს უკვე 100 დოლარამდე ეხარჯებათ. აი, ეს გავაკეთეთ ასეთი გადაწყვეტილების შედეგად. ამიტომაც გვაქვს ასეთი ციფრები. გადის 27 ათასი, ხოლო შემოდის — 1.600. მალე ამდენიც აღარ იქნება. რა მოხდება, რომ აქვე, საბაჟოში დავსვათ კაცი, აქვე გადავახდევინოთ გადასასვლელი თანხა და ასე არ გავართულოთ საქმე?

და კიდევ იცით, რა გვითხრეს ჩვენ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებს, თურქეთის სარფის საბაჟოს ხელმძღვანელებმა? ახლა საქართველოში მზადდება კანონპროექტი ტრანსპორტის შესახებ, რომელიც წარედგინება მინისტრთა საბჭოსა და პარლამენტს. აქ ბევრი ნიუანსი უნდა იყოს გათვალისწინებული. ვთქვათ ასეთი: მაგალითად, მანძილი სარფიდან საქართველოს მოპირდაპირე საზღვრამდე 500 კილომეტრს არ აღემატება. სარფიდან კი ბულგარეთის საზღვარს რომ მივაღწიოთ, 2000 კილომეტრზე მეტი უნდა გავიაროთ. თუ ჩვენ დავაწესებთ რაღაც გარკვეულ გადასახადს თითოეული კილომეტრის გავლისათვის, თურქეთიც ამას გააკეთებს. მაშინ გამოვა, რომ ჩვენ მათი ტერიტორიის გავლისას ოთხჯერ მეტი საფასურის გადახდა მოგვიწევს.

ვიფიქროთ ამაზეც!

და ბოლოს: მოგეხსენებათ, ოთხი ვაშლი იქნება თუ მილიონი დოლარი, ორივეს თავისი თანამდევი რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ ზნეობრივი პარამეტრები აქვს. ჩვენ, ჟურნალისტებს ვინმემ რომ არაკომპეტენტურობა და მიკერძოება არ დაგვწამოს, ეგებ სჯობდეს ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების სპეციალისტებმა უფრო პროფესიულად გაგვიმართონ ამ ე. წ. „არითმეტიკის" ასავალ-დასავალი"?!

გია ჭელიძე,
„სრ" აჭარის ბიურო.

ჩარგლის, 61. — ჩემპიონთა სამჭედლო

ახლახან დედაქალაქის მედიცინის მუშაკთა სახლში საქართველოს სპორტული ნარდის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელის აკაკი კიკალეიშვილის თავკაცობით გაიმართა თბილისის ღია ჩემპიონატი საერთაშორისო სპორტულ ნარდში პროფესიონალთა და მოყვარულთა შორის. ტურნირში იასპარეზეს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებმა. შეჯიბრებას ელფერი შემატა უკვე აღიარებული, ტიტულოვანი ოსტატების — ძმების დავით და გურამ გორდელაძეების, ნუგზარ ხომერიკის, გელა გომელაშვილის, აკაკი კიკალეიშვილის მონაწილეობამ.

მით უფრო საპატიო ასეთ ძლიერ კამპანიაში ჰალარა „დებიუტანტის" — ელმავალმშენებელი ქარხნის ინჟინრის კიმი თაბუკაშვილის მიერ პროფესიონალთა მძაფრ პაექრობაში მოპოვებული გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ იგი ტურნირში კარის მეზობლის (**ჩარგლის ქუჩა, № 61**), ძველი მეგობრისა და მუდმივი მეტოქის, სპორტის სასახლის ამასწინანდელი ღია პირველობის ჩემპიონის, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის თემურ ქურციკიძის ინიციატივით გამოვიდა. გამოვიდა და მერე როგორ! ბატონმა კიმიმ ამ წარმატებით შესანიშნავი საიუბილეო საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავს — ამ დღეებში მას 60 წელიწადი შეუსრულდა. საინტერესოა, ვინ გახდება ამ სახლიდან მორიგი ჩემპიონი? გთავაზობთ თბილისის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულთა და პრიზიორთა სრულ ნუსხას.

საერთაშორისო სპორტული ნარდი

პროფესიონალები: კიმი თაბუკაშვილი, აკაკი კიკალეიშვილი, მამუკა გუგეშაშვილი და თამაზ გიორგობიანი.

მოყვარულები: გურამ გორდელაძე, თენგიზ მიქიაშვილი, ბარნაბ კაპანაძე და კარლო ბარდაველიძე (ყველანი — თბილისი).



სურათზე: მეზობელი ჩემპიონების — თემურ ქურციკიძისა და კიმი თაბუკაშვილის მორიგი პაექრობა.

გრძელი ნარდი

ზაქრო ცირეკიძე (ტყიბული), ილია შანიძე (ბათუმი), ანზორ ფუტკარაძე (ბათუმი) და კახა მეურმიშვილი (თბილისი).

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი დაჯილდოვდნენ ფულადი და სამახსოვრო პრიზებით. ზოგიერთი მათგანი მალე სტამბოლს გაემგზავრება, სადაც 15 ნოემბერს იწყება თურქეთის ღია პირველობა. მასში მსოფლიოს მრავალი უძლიერესი მონარდე გამოვა.

აქვე გაცნობებთ, რომ საერთაშორისო სპორტული ნარდითა და ამ სახეობის წესებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიაკითხონ მარცხენა სანაპიროზე მდებარე მედიცინის მუშაკთა სახლს, სადაც ეროვნული ფედერაციაა მოთავსებული.

გია პლატონიშვილი.

სანთელი

ჩვენო ძვირფასო მკითხველებო!

ჩვენი გაზეთის 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „სანთელი" გიხმობთ!" მკითხველებს ვაუწყებდით, რომ რედაქციას გადაწყვეტილი ჰქონდა 1 ნოემბრიდან შემოეღო ყოველდღიური ჩანართი „სანთელი", რომელშიც ხელმისაწვდომ ფასებში გამოქვეყნდებოდა ნებისმიერი რეკლამა და განცხადება (სამგლოვიარო განცხადებები, მიცვალებულთა გახსენება, დაბადების დღის, ქორწინების, შვილის შეძენის მილოცვა, განცხადებები ყიდვა-გაყიდვის, გაქირავება-დაგირავების შესახებ, სხვადასხვა რეკლამა და ა. შ.).

მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით რედაქციაში საჭირო ოდენობით რეკლამა-განცხადებები არ შემოსულა, დანაპირების შესრულებას ვერ ვახერხებთ. მკითხველებსა და განმცხადებლებს ვაცნობებთ, რომ რედაქცია რეკლამა-განცხადებების მიღებისთანავე რეგულარულად დაიწყებს „სანთლის" გამოცემას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", რომელსაც დღეს ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონით: 93-28-13.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

ხსოვნა

ზურაბ ბრძელიშვილი

აუტანლად ძნელია გამოსათხოვარის დაწერა შენზე — ჩვენო მეგობარო და კოლეგა! გაუსაძლისად გვტკივა შენი სიკვდილი. ამ მძიმე წუთებში შენს მეგობრებს ათასი ფიქრი გვიტრიალებს თავში: ვის რა დაუშავე, რატომ დაისაჯე ასე ულმობლად, რატომ გაგწირეს? ვინ დააობლა შენი ორი ვაჟკაცი, ვინ აღმართა უკეთური ხელი შენზე? ვინ წაართვა შენი თავი საფიცარ დედას, შენს ერთგულ მეუღლეს, ძმებს...

ჩვენმა კოლექტივმა შენი სახით ღირსეული ჟურნალისტი, მოქალაქე და ნათელი პიროვნება დაკარგა. 16 წელიწადი იღვწოდი საქინფორმში. სრულიად ახალგაზრდა მოხვედი და აქ შეიძინე ჟურნალისტისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისება — პირდაპირობა, ობიექტურობა, სიმართლის სიყვარული. ამ თვისებებით იყო გამორჩეული შენი კორესპონდენციები, ჩანახატები, რეპორტაჟები. ჩვენ ერთად გადაგვქონდა ჭირი და ლხინი. ეს იყო შემოქმედებითი წარმატებებითა და საერთო სიხარულით აღსავსე 16 წელიწადი. შენ უხმაუროდ, დინჯად აკეთებდი შენს საყვარელ საქმეს, პირნათლად იხდიდი ვალს ქვეყნის წინაშე. კვლავაც ბევრ კარგ და კეთილ სამსახურს გაუწევდი შენს სამშობლოს. მაგრამ, ვაგლახ! გარეწრის ტყვიამ შეწყვიტა შენი გულის ძგერა...

საქინფორმის კოლექტივის ყველა წევრი ალალი ცრემლით მიგაცილებს საუკუნო განსასვენებლამდე. იმედად ისღა გვრჩება, რომ კაცური კაცის სახელი დატოვე ამ ქვეყნად და მიდიხარ ვალმოხდილი, როგორც სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი.

საქინფორმის კოლექტივი.

იუზა კაპანაძე



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საპატიო რკინიგზელი, რკინიგზის ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი იუზა სერგოს ძე კაპანაძე.

დაიბადა 1943 წელს ქიათურაში. 1966 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაუცხრომლად იღვწოდა რკინიგზის ტრანსპორტზე. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

შრომითი საქმიანობა რკინიგზის ტრანსპორტზე დაიწყო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოში მემანქანის თანაშემწედ.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის სალოკომოტივო დეპოს უფროსად, თბილისის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილედ, თბილისის დამხარისხებელი სალოკომოტივო დეპოს უფროსად, თბილისის განყოფილების სალოკომოტივო განყოფილების უფროსად, სალოკომოტივო სამსახურის უფროსად, რკინიგზის უფროსის მოადგილედ. 1993 წლიდან დღემდე კი საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა, შესაშური ენერგიით, თავდაუზოგავად და მაღალი პროფესიონალიზმით იღვწოდა რკინიგზის ერთ-ერთი მთავარი დარგის — სალოკომოტივო მეურნეობის განვითარებისათვის.

ღრმად განათლებული, ინტელიგენტი, დარბაისელი, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი ი. კაპანაძე დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა საქართველოს რკინიგზელთა შორის.

მისი დაუღალავი და უანგარო შრომითი საქმიანობა არაერთხელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

წავიდა ჩვენგან ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, უაღრესად კეთილი, პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანი, უპრეტენზიო, საქმისა და მეგობრების ერთგული კაცი და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა. მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო თავისი საყვარელი საქმისა და ქვეყნისათვის.

მსუბუქი იყოს მისთვის მადლიანი ქართული მიწა, რომელსაც მთელი არსებით ეთაყვანებოდა.

საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი;
საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის პროფკავშირის საგზაო კომიტეტი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ბოროტმოქმედთა ხელით დაიღუპა საქინფორმის კორესპონდენტი

ზურაბ ბრძელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

მეუღლე ქსენია ჩხაიძე, შვილები ლამარა, ცისანა, დები დარეჯან, ლიზიკო, სიძეები თენგიზ ხურცილავა, კაკო (ჯონდო) ალავიძე, შვილიშვილები ლამზირა, ქეთინო ხურცილავები, მზია, ინგა, ირაკლი ალავიძეები, დეიდაშვილები, დისწულები, ბიძაშვილები, ძმისწულები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანტონ პროფილეს ძე ანდღულაძე

პანაშვიდი: 1, 2 XI 14 სთ. დაკრძალვა 3 XI 14 საათზე. პანკისის, 18 (დოლიძის ქუჩა).

შვილი ნატალია, და ელენე ჯიქიები, სიძე ანზორი, დისწული მანანა დვალები, სიძე ირაკლი, დისწულიშვილი მარიამ შავლიაშვილები; მამიდა ლამარა კუჭავა, მამიდაშვილები ხუტა და იური მიქელაძეები; ეთერ დვალი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა შალვას ძე ჯიქია

პანაშვიდი: 1, 2 XI 16 საათზე. გამოსვენება 3 XI 14 საათზე. გრიბოედოვის ქ. № 20 (V სადარბაზო).

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილი
შეკვეთა [illegible]